



MES 2 21 0000612591

22/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 08 – 09 ივნისი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ (8 ივნისი)

სხდომის დასრულების დრო: 01:06სთ (09 ივნისი)

საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშვარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია - (III, IV, V, VI, VII საკითხები)

სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა - (I, II საკითხები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- ნათიაზედგინიძე-ჯიშვარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

- 7. გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 8. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
- 9. ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- 10. გიორგი ღალანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 11. დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
- 12. დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- 13. გვატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
- 14. თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 15. თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- 16. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- 17. ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბეგიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II-III-IV-V-VI-VII
2.	ანზორ აბშილავა		სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	II-III-IV
3.	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II-III-IV
4.	ლუცინდა ჩხეიძე		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო	II-III-IV

			პროგრამის "საიუნიონო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა" ხელმძღვანელი	
5.	თეიმურაზ კუნჭულია		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის "პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა" ხელმძღვანელი	II-III_IV
6.	ნინო რატიანი		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა" ხელმძღვანელი	II-III-IV
7.	ნანული დანელია		ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	II-III-IV-V-VI-VII
8.	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	V-VI-VII
9.	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	V-VI-VII
10.	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V-VI-VII
11.	დიმიტრი ერისთავი		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოსდაცვითი ინჟინერია“ ხელმძღვანელი	V-VI-VII
12.	ლეილა გვერდწითელი		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოსდაცვითი ინჟინერია“ ხელმძღვანელი	V-VI-VII
13.	ლენა შატავიშვილი		ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი	VII
14.	ქეთევან ქუთათელაძე		ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	VII

		სამსახურის ხელმძღვანელი	
15.	ომარ შამანაძე	მაგისტრატურის პროგრამის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი	VII
16.	თამარ ლომინაძე	პროფესორი	VII
17.	ქეთევან კოტეტიშვილი	პროფესორი	VII
18.	ჯემალ ბერიძე	პროფესორი	VII
19.	ნიკოლოზ აბზიანიძე	ასოცირებული პროფესორი	VII
20.	ნანა ღიბრაძე	პროფესორი	VII
21.	ლალი ხუნწარია	პროფესორი	VII
22.	შალვა კვირკველია	ასოცირებული პროფესორი	VII
23.	არჩილ სამადაშვილი	პროფესორი	VII
24.	მიხეილ ზიბზიბაძე	დამსაქმებელი	VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშ უალებითმონაწილეობისშესახე ბ	საკითხი
1	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV-V-VI
2	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV
3	თამარ დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV
4	ნანა ფირხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV
5	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI
6	კონსტანტინე ხაჭაპურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI
7	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI
8	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
9	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
10	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
11	ქრისტინა ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშვარიანმა.

საბჭოზე, პირველი და მეორე საკითხის განხილვის მომენტში არ იმყოფებოდა საბჭოს მდივანი მარიამ შენგელია, რის გამოც აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე - 4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს სხდომის მდივნად განისაზღვრა მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ვი

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსამა სპეციალისტმა ანა ჯავახიშვილმა, შუამდგომლობა ეხებოდა დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს დამატებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს განემარტათ რა სახის ხარვეზი უნდა გასწორებულიყო 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანა ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 14 მაისის სხდომაზე განხორციელდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა, სადაც საბჭომ შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა „სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად, მიუხედავად იმისა, რომ ოქმში ასახულია თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მსჯელობა, ტექნიკური ხარვეზის გამო ოქმში დეტალურად არ დაფიქსირდა კონკრეტული რეკომენდაციების ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის N501200 სხდომის ოქმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაკეთდეს შესასრულებელი რეკომენდაციებისა და რჩევების ზუსტი ჩამონათვალი.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამას განესაზღვროს ის სწავლის შედეგები, რომელებიც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებით;
2. სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სილაბუსი მითითებული შენიშვნების შესაბამისად საჭიროებს ჩასწორებას. წარმოდგენილი მიზანი და შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს; ასევე, დაზუსტდეს კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ვრცლადა მოცემული და საჭიროებს დაკონკრეტებას, ისინი ძირითად შედეგებს უნდა ასახავდეს;
3. კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და მაღალუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი

- სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით);
4. სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ შეიქმნას დამატებითი ლიტერატურის განყოფილება და წყარო - Hoffman, J and Graham, P. (2015). Introduction to Political Theory, London and New York, Routledge - იქ იქნეს გადატანილი; აღნიშნული წყარო ამოღებული იქნეს კალენდარული გეგმის პირველი და მესამე კვირიდან;
 5. სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის 1-ელ კვირაში თემისთვის „პოლიტიკური თეორიის საგანი. პოლიტიკისა და პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრის მცდელობა კარლ შმიტის მიერ“, ზემოთ ხსენებული Introduction to Political Theory-ის ნაცვლად, შმიტის შესახებ უფრო სპეციალიზებული მასალა იქნეს მითითებული (მაგალითად, თუნდაც, The Oxford Handbook of Carl Schmitt, edited by J. Meierhenrich and O. Simons, Oxford: Oxford University Press, 2016);
 6. სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის მე-3 კვირაში თემისთვის „სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები“ მითითებული ლიტერატურა შეივსოს სხვა წყაროებით, რათა ის სადოქტორო დონისთვის უფრო 22 ადეკვატური გახდეს (მაგალითად, Quentin Skinner, “A Genealogy of the Modern State”, Proceedings of the British Academy, 162 (2009), გვ. 325-370);
 7. „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - კურსის სწავლის შედეგების საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი წარმოდგენილი დებულების მესამე საფეხურისთვის შესაბამისობაში მოყვანას;
 8. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით; ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკის მქონე წევრები.

რჩევები:

1. წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაფიქსირდეს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა;
2. სასურველია, არ დაწესდეს შეზღუდვა და სამოტივაციო წერილის მოცულობა იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც დებულებაშია, კერძოდ, სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას;
3. გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა; კერძოდ, სავალდებულო არჩევით საგანთა კორექტირებულ ჩამონათვალში წერია „დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი“, მაგრამ მეორე დოკუმენტში, სადაც კურიკულუმი და სამეცნიერო მიმართულების კომისია არის წარმოდგენილი, მითითებულია „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“;
4. კურსში „დოქტორანტის სემინარი III“: а). კალენდარული გეგმის მე-4 კვირაში თემისთვის „ახალი დროის პოლიტიკური თეორიები: თომას ჰობსი და ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგიის კრიტიკა“ მითითებული ლიტერატურა, შეივსოს ჰობსის რომელიმე ნაშრომით, რადგან სხვა შემთხვევებში ავტორი ყველაზე უთითებს საკვანძო ავტორს (1-ელ კვირაში შმიტის შესახებ მითითებულია შმიტის ნაშრომი, მე-5 კვირაში მონტესკიეს შესახებ მონტესკიე მითითებულია ლიტერატურაში, მე-6 კვირაში რუსოს შესახებ რუსო მითითებულია ლიტერატურაში და ა.შ.); ბ). კალენდარული გეგმის მე-6-7-8-12-14-ე კვირებში სასურველია საკვანძო ავტორების შრომების შევსება მეორადი ლიტერატურით, როგორც ეს წარმოდგენილია სილაბუსის მე-5-9-11 კვირებში (საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად: „სემინარებში ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით“);

5. კურსში „სწავლების პრაქტიკა“ სასურველია კურსის შინაარსთან დაკავშირებით უფრო სრულყოფილი ჩანაწერის წარმოდგენა, რომელიც სრულად ასახავს სტუდენტის სწავლის შედეგებზე გასვლას
6. კურსში „დოქტორანტის სემინარი II“: а). განყოფილებაში „დამატებითი მასალები“ კლიფორდ გირცის ნაშრომთან ამოღებულ იქნეს არასწორი ციფრული იდენტიფიკატორი; ბ). ოლივერ რაისნერის ნაშრომზე “Travelling between Two Worlds - the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life” ილია ჭავჭავაძის ნაცვლად, ავტორად მითითებული იქნეს ოლივერ რაისნერი;
7. სილაბუსებს „სწავლების პრაქტიკა“ და „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“ მიეთითოს ავტორები;
8. კარგი იქნება, პროგრამას თან ერთვოდეს პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტები, რომლითაც დადასტურდებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
9. პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო მეტად გაზრდის პროგრამის მიმართ ინტერესს.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის N418 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ., № 77 სასწავლო კორპუსი № 3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N486 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	უსაფრთხოების ინჟინერია და რისკების შეფასება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ., № 77 სასწავლო კორპუსი № 3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N512 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	უსაფრთხოების ინჟინერია და რისკების შეფასება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 სასწავლო კომპონენტი
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ., № 77 სასწავლო კორპუსი № 3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო, „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ სამივე პროგრამა და სამივე პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ პკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა („საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო პროგრამა).

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქამემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო შესაბამისი სფეროს პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტებით. ასევე განმარტა, რომ რეკომენდაციების სიმრავლე გამომდინარეობდა ექსპერტების მიზნიდან, აკრედიტაციის გარე შეფასებასთან დაკავშირებით გაეცათ ქმედითი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას და განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება დაეთვალიერებინა სასწავლო სივრცეები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მხრიდან მიიღო შესაბამისი პოზიცია. დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციებისა და შერწყმის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დასკვნის ძირითადი საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, რომელიც აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებს 2012 წლიდან, საინჟინერო და საყურადღებოა თანამედროვე შრომის ბაზრისათვის. აქედან გამომდინარე, პროგრამამ უნდა უპასუხოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. ასევე მნიშვნელოვანია, პროგრამა თავსებადი იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზართან და აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს, რადგან საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით არის მიმართული თავად შრომის უსაფრთხოების ქართული სივრცე. ასევე, პროგრამას უნდა გააჩნდეს მზაობა სავარაუდო საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამის მიზნები უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, მიდგომებს, საერთაშორისო სტანდარტებს. ამიტომ, მიზნებში არ უნდა იყოს დეკლარირებული, მხოლოდ საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონისა და უსაფრთოების ტექნიკის სწავლება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა და შრომის უსაფრთხოების სფეროში დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ასევე აღინიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ხუთივე პროგრამაში ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაცია თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრასთან დაკავშირებით. აღნიშნულ რეკომენდაციას ეთანხმება თავად ინსტიტუციაც და ადასტურებს, რომ გააჩნია შესაბამისი მექანიზმები გაუმჯობესებისათვის. პროგრამაში სწავლის ფორმულირებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამამ უნდა გაიზიაროს ანალოგი პროგრამებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების თანამედროვე მიდგომები, რაც უფრო კომპლექსურს და ლაკონურს გახდის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგებში ფორმულირებულია შედეგი, რომელიც ნაკლებად შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგს. ასეთივე მიმართებით გადასახედია და შესაცვლელია #5 და #9 სწავლის შედეგი, რომლებიც ჩამოყალიბებულია რიგი სასწავლო კურსების შედეგების ჩამონათვალის სახით, რაც წარმოადგენს ცალკეული შემთხვევების ჩამონათვალს და არა კომპლექსური სწავლის შედეგს. #5 სწავლის შედეგი, ჩამოყალიბებულია რიგი სასწავლო კურსების შედეგების ჩამოთვლის სახით, რაც წარმოადგენს ცალკეული შემთხვევების ჩამონათვალს და არა კომპლექსური სწავლისას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გაუმჯობესდეს სწავლის შედეგის ფორმულირება. #10 სწავლის შედეგში პროგრამა იყენებს ტერმინს „პროფესიული კომუნიკაციის უნარების პოპულარიზაცია“, რომელიც უნდა მოდერნიზდეს კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფით. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 194 კრედიტს, ხოლო ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 8 კრედიტს, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ პროგრამაში შემავალი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები უნდა შეიცვალოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების წილის გაზრდით, ზოგიერთი კურსისათვის სპეციალობის არჩევითი სტატუსის მინიჭებით და ზოგიერთი სასწავლო კურსის გაერთიანებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში წარმოდგენილია შემთხვევები, როდესაც

ხდება თემების გადაფარვა სხვადასხვა კურსებში. პროგრამა მოქმედებს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დეტალური სფეროს ჩარჩოებში და აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლების პოზიციაა, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პროფესიული დაავადებების, პროფესიული ჯანმრთელობის კუთხით არსებულ საკითხებს და მათი განხილვისთვის აუცილებელია ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის ზოგადი საბაზისო კურსის შესწავლა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებაში გარკვეული პროგრამების დანერგვის შედეგად არსებობს მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამა „ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება“, რომლის მიმართებებში სხვადასხვა სასწავლო კურსები განიხილება, რაც გარკვეულწილად გასათვალისწინებელი არის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაში. პროგრამა, რომელიც პროფესიულ დონეზე ისწავლება, მიმართულია იქითვენ, რომ ჩამოაყალიბოს ანატომიის საფუძვლები, განიხილოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული მიმართებები საბაკალავრო პროგრამაში უფრო მეტად უნდა იყოს გამოკვეთილი.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „შესავალი ფსიქოლოგიაში“ არჩევითი სტატუსი განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, რათა შემდგომში განისაზღვროს პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსის, „შრომის ფსიქოლოგიის“ წინაპირობად. ასევე, ამ კუთხით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის გადამზადება, რადგან არსებული მდგომარეობით აკადემიური პერსონალი ძირითადად დაკომპლექტებულია საინჟინრო მიმართულებით, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სფეროს წარმოადგენს „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა ისეთი კადრებიც, რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიკაცია ჯანდაცვის ან სხვა შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით.

მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასდება PDCA-ციკლის გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ჯგუფი თითოეულ საკითხისადმი დეტალიზებული განხილვით გამოირჩეოდა. მან ასევე ისაუბრა პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შესაძლოა ნათლად არ იყოს წარმოჩენილი ის ფაქტი, რომ საქართველოში მხოლოდ აღნიშნული ინსტიტუციაში არის საინჟინრო პროგრამა აკადემიური განათლების კუთხით. აღნიშნული პროგრამა, სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული და მის აქტუალობას ასევე ხელს უწყობს ბოლო დროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. მას შემდეგ სტაბილურად ვითარდებოდა და პროგრესი აკრედიტებამდე და მას შემდეგ არსებულ ფორმულირებისა და ტექნიკური სიზუსტის დონეზე ნათლად შესამჩნევია.

რეკომენდაციებთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ სწავლის შედეგების სიტყვიერად იყოს გამართული, არამედ ისიც, რომ სასწავლო პროგრამაც და სწავლის შედეგებიც შინაარსობრივად იყოს ჩამოაყალიბებული. საწყისად აღებულია შინაარსი და შემდგომ ყალიბდება სწავლის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება რეკომენდაციას ზოგიერთი ფრაზის ფორმულირების შეცვლასთან დაკავშირებით და იქვე აღნიშნავს, რომ მათგან მთავარი აქცენტი შინაარსზე კეთდება და

ტერმინის სხვადასხვა გვარი ჩამოყალიბების მიუხედავად, პროგრამის მიზნები რჩება უცვლელი. მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელშიც მითითებულია, რომ პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსის და მისი მთლიანად გათვალისწინებით ის მეტწილ შესაბამისობას იმსახურებს. მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სტუდენტების მიღწევებს ეხება, დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა დარგის სპეციალისტების მოთხოვნის რადიკალურ ზრდაზე და იმ მოთხოვნებზე, რაც ეროვნულ თუ ინტერნაციონალურ დონეზე არსებობს. ის შეეხო ენის ბარიერის საკითხსაც, რომლის აღმოსაფხვრელადაც სასწავლო დაწესებულებამ გაასამძაგა უცხოური ენის სწავლების საათები და კიდევ უფრო აამაღლა სწავლების ხარისხი და შეფასების კრიტერიუმები. რიგით მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სწავლების რესურსებით უზრუნველყოფას შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობს უნიკალური ლაბორატორიები, სადაც გარემო რეალობასთან მაქსიმალურად არის მიახლოვებული, რათა სტუდენტებმა შეძლონ სწავლების პრაქტიკული კომპონენტის შესრულება. ამ მიმართულებით გაცემულ რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელი და აღნიშნავს, რომ გაცილებით უფრო მისაღები შეიძლება იყოს უშუალოდ, ადგილზე პრაქტიკის განხორციელება, მაგრამ ინსტიტუციურად სფეროს უზრუნველყოფის გათვალისწინებით მას მიაჩნია, რომ დღევანდელი შრომის ბაზრის პირობების გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიღებული აქვს ოპტიმალური გაადწაყვეტილება. როდესაც იქნება სხვა მიმართულებაზე ფიქრის შესაძლებლობა, ისინი ამას დაავალისა და მიმართულებაზე ფიქრის შესაძლებლობებს, ამ მიმართულებთ ტექნიკური უნივერსიტეტი არ არის იმ დონეზე, როგორც უნდა იყოს. სპეციფიკიდან გამომდინარე ამას გარკვეული დრო სჭირდება, მათ შორის სწავლების ერთი ციკლის დასრულება. პრაქტიკულად ყველა პრინციპი გამოიყენება, რაც მიღებულია ყველა ნორმალურ უნივერსიტეტში. ეს იქნება შეფასებები, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა, უშუალოდ პროგრამის განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა, ასევე პროგრამების შედარება უცხოურ ანალოგებთან (მაგალითად: ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია). დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გარე შეფასებების კუთხით მაქსიმალურად თანამშრომლობენ თავიანთ პარტნიორებთან, როგორც პიროვნულ ასევე ორგანიზაციულ დონეზე. მან დასკვნის სახით აღნიშნა, რომ დეტალური და დიდი შრომა არის გაწეული ექსპერტების მიერ, თუმცა ფიქრობს, რომ პროგრამა აკრედიტებულ რეუიმში პრობლემის აღმოფხვრაზე და განვითარებაზე არის ორიენტირებული. აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ გარკვეული შეფასებები, აკრედიტაციის შედეგების მიზნებისთვის იმსახურებს გარკვეულწილად დაწინაურებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა გამოხატა თავისი პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რამდენჯერმე მიუბრუნდა როგორც პროგრამის შიანარსობრივ ნაწილს, ისე თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დაწესებულების და ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიციას. თუმცა, თავად გარკვეულ რეკომენდაციებთან მიმართებაში იხრება დაწესებულების პოზიციისკენ. იგი 21-ე რეკომენდაციის მაგალითზე ფიქრობს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აკადემიური

პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილში გარკვეულ პოზიციებზე ჩარევას. და თუ ეს კონკრეტულად გარკვეული საგნების მიმართ აუცილებელია მას, როგორც საბჭოს წევრს, გადაწყვეტილების მიღებისთვის სჭირდება მეტი სიცხადე, რათა მიიღოს სრულყოფილი გადაწყვეტილება. მიიჩნევს, რომ 21-ე, 22-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 30-ე და კიდევ სხვა რეკომენდაციები უფრო მეტად რჩევის ხასიათის მატარებელია, ასევე, რეკომენდაციების ნაწილი ავტორიზაციის სტანდარტებისკენ იხრება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, რამდენად რელევანტური იყო საინჟინრო უსაფრთხოებისადა საგანგებო სიტუაციების მართვის, ამ ფართო ველის შესახებ მხოლოდ 10 ადამიანის გამოკითხვა, თან იმ ფონზე, როდესაც უცნობია რესპონდენტთა პროფესია და კვალიფიკაცია. მისი მეორე კითხვა შეეხებოდა ბიუჯეტის ნაწილს, მისი მოსაზრებით საჭიროა უშუალო შემოსავლისა და პირდაპირი ხარჯის მეტი დეტალიზება და გამიჯვნა. ფინანსურ ანალიზში მითითებული 8% არის თუ არა საკმარისი პროგრამის განვითარებისთვის და ეს ხომ არ არის მითითებული იმისათვის, რომ პროგრამა არ ჩაითვალოს წამგებიანად. საბჭოს წევრი მიუთითებს, რომ ბიუჯეტი იმისათვის არის საჭირო, რომ წინასწარ განისაზღვროს ფინანსური საჭიროებები. მათი განსაზღვირს შემდეგ, თუ პროგრამას აკლდება თანხები, შევსება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის ან ცენტრალური ბიუჯეტიდან. შესაძლოა, პროგრამა იყოს წამგებიანი, მაგრამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ თანხების გამოყოფა ჩაითვალოს გონივრულად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვა სილაბუსებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა თუ რამდენად სწორი იყო ერთ-ერთ სასწავლო კურსის სახელწოდებაში, „შრომის უსაფრთხოების კანონი“, სახელწოდება „კანონის“ გამოყენება და ხომ არ აჯობებდა მისი შეცვლა შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირებით. მისი მეორე კითხვაც ასევე შეეხებოდა სასწავლო კურსის დასახელებას - „შრომის უსაფრთხოების მენეჯმეტი“, მისი თქმით რამდენად რელევანტურია სიტყვა „მენეჯმენტი“, რადგან საუბარია უფრო შრომის უსაფრთხოების პროცესის მართვაზე, ვიდრე სისტემის აწყობაზე. მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია შრომის ჰიგიენისა და საწარმო ესთეტიკისა და ერგონომიკის სასწავლო კურსები. თუმცა, მას სურს დაწესებულებისგან მოისმინოს განმარტება, თუ კონკრეტულად რა შინაარსი იგულისხმება ამ სასწავლო კურსებში, რადგან შრომის ჰიგიენის ე.წ. რუსულ მიდგომაში მოიაზრება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების აწყობა საწარმოში (მაგ: სამედიცინო ან სხვა მიმართულებით). დასავლური მიდგომით კი შრომის ჰიგიენა გულისხმობს სამუშაო პირობების ისე აგებას საწარმოში, რომ ხელი შეუწყოს შრომის ნაყოფიერების გაზრდას. მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულების პოზიციის მოსმენა იმისათვის, რომ დადგინდეს ამ ორ სილაბუსთან დაკავშირებით საკითხები ხომ არ ფარავს ერთმანეთს.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა, უნდა ისწავლებოდეს თუ არა საქართვლოს შრომისა და უსაფრთხოების კანონი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული. მისთვის ასევე გასაგებია, რომ შეიძლება ისწავლებოდეს უცხოეთის კანონმდებლობა, თუმცა მისი მოსაზრებით აუცილებელია საქართველოს კანონიც, მისი არსებობის შემთხვევაში. მეორე შეკითხვა ექსპერტებისადმი შეეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომუნივერსიტეტს გააჩნია საკმარი კარგი ბაზა, მათ შორის სამთო საქმესთან დაკავშირებული ლაბორატორია. თუმცა, ამასთან დაკავშირებით 28-ე რეკომენდაციაში წერია, რომ საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ამოცანების ეტაპობრივი განვითარება. მან ასევე, ინსტიტუციას მიმართა შეკითხვით, ეს პროგრამა მთლიანად ყველა სფეროს მოიცავდა თუ უფრო კონკრეტულ მიმართებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. რომელმაც 21-ე რეკომენდაციასთან მიმართებით დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 21-ე რეკომენდაცია გაცემულია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. დასკვნაში აღნიშულია თუ რამ გამოიწვია ამ რეკომენდაციის ჩაწერა და რას გულისხმობს ის. მისი თქმით, პროგრამაში

წარმოდგენილია ისეთი სასწავლო კურსები, სადაც არსებული შეფასების მიდგომებით ვერ დასტურდება სასწავლო კურსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. ამიტომ, ექსპერტები ფიქრობენ, რომ სტუდენტის ცოდნის დონის დასადგენად მხოლოდ ტესტური შემოწმება და მასზე დაყრდნობით სტუდენტისათვის საჭირო ტრენინგის შერჩევა, მხოლოდ ზეპირი ან წერითი გამოცდით არ იქნება რელევანტური. მისი თქმით, სწავლის შედეგში სადაც საუბარია, რომ სტუდენტი ლაბორატორიულ სამუშაოებს ატარებს და აქვს ასეთი უნარები, თუ ლაბორატორიულ უნარებზე შესაბამისი ზღვრული ქულები და მიდგომები არ იქნება გამოყენებული, წერითი გამოცდით და შესაბამისი ზეპირი გამოცდით სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ ეხილათ 2.6 სტუდენტების შეფასების კომპონენტი, სადაც ზუსტად არის წარმოდგენილი რა იგულისხმება ამ რეკომენდაციის ქვეშ. მისი თქმით, ზღვრული ქულების დაგეგმვის პრაქტიკასთან დაკავშირებით არსებობს პრაქტიკა, როდესაც, ზღვრული ქულები ისე არის დაწესებული, რომ სტუდენტს შეუძლია გვერდი აუაროს რეფერატს და ისე გავიდეს შემაჯამებელ გამოცდაზე და მიიღოს დადებითი შეფასება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგში სხვაგვარად არის წარმოდგენილი.

22-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა რომ, აღნიშნული რეკომენდაცია შეეხება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ისეთი მიმართებები, როგორიც არის Erasmus+, თუმცა, მისი თქმით შემოწმება ხდება მოცემული პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება 23-ე რეკომენდაციას, მისი თქმით, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უფრო მეტი ინტენსივობით უნდა მოხდეს პირველ კურსელი სტუდენტების ინფორმირება და სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა აღნიშნული რეკომენდაცია. 25-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰყავს კადრები, მაგრამ დაწესებულებამ ვერ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. 26-ე რეკომენდაცია, რომელიც შეეხება უცხოელი პროფესორების მოწვევას და პროგრამის განხორციელებაში ჩართვას, ეს იყო თავად დაწესებულების მიერ გასაუმჯობესებელ მხარეში. უნდა ითქვას, რომ როდესაც დაწესებულება წარმოადგენს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მას ასევე უნდა გააჩნდეს მწყობრი გეგმა და ხედვა, როგორ აპირებს ამ გასაუმჯობესებელი მხარეების მოგვარებას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა მწყობრი გემა და ხედვა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება აღნიშნულის განხორციელებას. 27-ე რეკომენდაცია, რომელიც შეეხება პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელ მრავალფეროვან აქტივობებს, ამასთან დაკავშირებით დაწესებულება მზაობას გამოხატავს და ამბობს რომ რეკომენდაცია მითთვის მისაღებია, რაც შეეხება 30-ე რეკომენდაციას, სადაც საუბარია პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარებაზე. ამ კუთხით, შესაბამის კომპონენტში აღწერა სრულად არის წარმოდგენილი. საუბარია თვითშეფასებაში წარმოდგენილ დაწესებულების მიერ გასაუმჯობესებელ და ძლიერი მხარეებზე. ეს არის პროგრამა, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, გასაუმჯობესებელი მხარეებისადმი ნამდვილად კრიტიკული მიდგომა დაინახა. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ გადამეტებულად არის წარმოჩენილი ძლიერი მხარეები და შესაძლებელი იყო ანალიზის თანამედროვე მეთოდების წარმოდგენით, უფრო გაცხრილვით და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მათი შეფასება. ამიტომ, ამ კუთხით მნიშვნელოვანია თვითშეფასების ჯგუფში და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კიდევ უფრო გაუმჯობესება ტრენინგების საშუალებით, იმისათვის, რომ თვითშეფასება სხვაგვარად წარიმართოს, დაეყრდნოს საფუძვლიან ანალიზს და თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამას ემსახურება 30-ე რეკომენდაცია. ასევე ერთ-ერთი მნიშნელოვანი, რაც გამოიკვეთა „შრომის უსაფრთხოების კანონის“ და მატერიალური რესურსების შესწავლასთან დაკავშირებით არის ის, რომ, დიახ ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს პრაქტიკულთან მაქსიმალურად მიახლოვებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზები.

თუმცა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ინტერვიუირების შედეგად, ცხადი გახდა რომ ისინი ითხოვენ რეალურ სასწავლო გარემოს პრაქტიკისათვის. ექსპერტთა ჯგუფს ესმის დაწესებულების მიმართება, მაგრამ ასევე ესმით ისიც, რომ თანამედროვე მოთხოვნაა პრაქტიკა წარიმართოს რეალურ სასწავლო გარემოში. რაც შეეხება მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას, აქ შრომის უსაფრთხოების სფეროში არის უამრავი სხვადასხვა ხელსაწყო, მოწყობილობა, ელ.მოწყობილობა, რომელიც აფასებს სამუშაო გარემო პირობებს, მონიტორინგს უკეთებს მას. ამ კუთხით პროგრამის გაძლიერება, არის ძალიან მნიშვნელოვანი, იგივე ჰაერის კონტროლის სამუშაო პირობებში, მიკრო კლიმატის კონტროლი თუ უსაფრთხოების პარამეტრები. რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების კანონს, უნდა ისწავლებოდეს კანონიც და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებიც, თუმცა სასწავლო კურსის დასახელების ფორმირება, რჩევის სახით მიეცა დაწესებულებას და შეუძლია გაითვალისწინოს ან შეცვალოს სასწავლო კურსის დასახელება.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშილმა ექსპერტა ჯგუფს მე-6, მე-16, მე-19, მე-20, 31-ე და 32-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სთხოვა მეტი კონკრეტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ მე-6 რეკომენდაცია, რომელიც შეეხება პროგრამის სტრუქტურაში სპეციალობის არჩევითი კურსების წილის გაზრდასა და სასწავლო კურსების გადანაწილებას უცხოური ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებით, გულისხმობს გარკვეული მეთოდოლოგიის შემუშავებას, სადაც აკადემიურ პერსონალს თუ კვლევის განმახორციელებელ პირებს ექნებათ გარკვეული მითითებები, რას უნდა მიაქციონ ყურადღება და რა ძირითადი მომენტები უნდა გაითვალისწინონ, ანალოგი პროგრამების ანალიზის დროს. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა გარკვეული მიმართებები, სხვადასხვა ტექნიკური დარგის უნივერსიტეტებთან, რომლებიც ასევე ახორციელებენ მსგავს პროგრამებს, თუმცა გააჩნიათ მემორანდუმი ინსტიტუციასთან. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ 8 არჩევითი კრედიტისა და 194 ძრითადის განაწილების ნაცვლად უმჯობესია არჩევითი სასწავლო კურსების წილის გაზრდა.

რაც შეეხება 16-ე რეკომენდაციას, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას უცხო ენის ჯგუფებში პროგრამის სტუდენტთა გადანაწილება ცოდნის დონის შესაბამისად, ექსპერტმა თქვა, რომ დაწესებულებას აქვს მიმართება, გაზარდოს უცხო ენების 15 კრედიტი და სტუდენტთა ცოდნის შესაბამისად გადაანაწილოს ისინი ჯგუფებში. თუმცა, ამ პროგრამის ფარგლებში, ჯერჯერობით არ იკვეთება სწორი გადანაწილება და ამ მექანიზმის გამოყენება, აქედან გამომინარეობს რეკომენდაციის შინაარსი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა დაწესებულების მზად ყოფნა აღნიშნულთან დაკავშირებით. რაც შეეხება მე-19 რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობს . სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმავითარებელი სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდას, მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში და კვლევებში ჩართულობას, მისი თქმით, 10 წლის მანძილზე კონფერენციაზე წარმოდგენილი მხოლოდ 10 სტუდენტი არის ძალიან ცოტა. თუმცა, დაწესებულება განმარტავს, რომ ეს გამოწვეული იყო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის ნაკლებობით.

მე-20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებობს უამრავი ქეისი, უმრავი შემთხვევის ანალიზი და დაწესებულებას შეუძლია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები შემოიღოს, რაც პროგრამას გაცხადებული აქვს, თუმცა პრაქტიკაში არ გვხვდება. 31-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ 31 - ე რეკომენდაციის გაცემა განაპირობა მეორე რეკომენდაციის არსებობამ, რომელიც გულისხმობს თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულების შემუშავებას. მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი და ეს რეკომენდაცია ამასთან კავშირში უნდა იქნას განხილული. მისი თქმით, კითხვარები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპონდენტის რეალური განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირებისსაშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მითითებული იყოს

კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი. აღნიშნულ მიმართებას ასევე იზიარებს დაწესებულებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარია შეფასების იმ კომპონენტების დაკარგვაზე, რომელიც მნიშვნელოვანია სასწავლო კურსისთვის, საუბარია იმაზე, რომ შეიძლება, რეფერატი არ ჩააბაროს სტუდენტმა და ისე გავიდეს დასკვნით გამოცდაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინსტიტუციას აქვს ასეთი მიდგომა, რომ სტუდენტი სილაბუსზე მეტად ნიშნების ურნალს ეცნობა, ამიტომ სილაბუსში არ არის შეფასებით დატვირთული და ზოგიერთი აქტივობა არის ურნალში გადატანილი. დაწესებულებას აქვს სტუდენტური პორტალი, სადაც შეაქვთ ნიშნები. აღნიშნულ პორტალში განსაზღვრულია სტუდენტის კვირეული შეფასებები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებით დააგროვებს ამ ქულებს. აღნიშნულ პორტალში არის ველი, სადაც სტუდენტი ტვირთავს ყველა იმ მნიშვნელოვან დოკუმენტს და აქტივობას, რომელზეც დაწესებულება თვლის რომ მნიშვნელოვანია. ეს შეეხება ასევე რეფერატებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელს, საბჭოს წევრმა გიორგი ლალანიძემ დაუსვა დამაზუსტებელი შეკითხვა, რომ თუ სილაბუსში არ წერია ინფორმაცია შეფასებასთან დაკავშირებით, მაშინ სტუდენტი საიდან იგებს ამის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პორტალში და სილაბუსში შეფასების ერთნაირი სისტემა არის გადმოცემული, თუმცა პორტალში ემატება ასევე დოკუმენტური მასალის ველი, სადაც სტუდენტი ეცნობა იმ ძირითადი დოკუმენტების სიას, რომელიც უნდა წარადგინოს სემესტრის ბოლოს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ 21 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მისი კითხვის არსი იყო ის, რომ კანონმდებლობის მიხედვით საჭიროების შემთხვევაში ლექტორი უფლებამოსილია დააწესოს ზღვარი, რაც გულისხმობს რომ ზღვრის დაწესება არ არის სავალდებულო მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა რომ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ რომელიდაც კომპონენტი ადასტურებს სილაბუსით წარმოდგენილ რომელიმე სწავლის შედეგს და მხოლოდ ამ კომპონენტით ფასდება ეს სწავლის შედეგი, ამ კუთხით ზღვრული ქულის დაწესება არის მნიშვნელოვანი, რადგან ამ კომპონენტში მიღებული 0 ქულითაც კი შესაძლებელია სილაბუსში წარმოდგენილი განაწილების მიხედვით სტუდენტი გავიდეს შემაჯამებელ გამოცდაზე და მიიღოს დადებითი შეფასება. ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის მიმართება, რომ იმ კომპონენტებში, სადაც ეს მნიშნელოვანია, ზღვრული ქულები უნდა დაწესდეს იმის შესაბამისად, რომ დადასტურდეს სწავლის შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნახსენები გაახალგაზრდავების პოლიტიკა, პროცენტული მაჩვენებლით დაახლოებით 30%-ით გაიზარდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული არ წარმოადგენს დაბალ მაჩვენებელს, რადგან აკადემიური პერსონალის რაოდენობა იზრდება და ასვე აღნიშნა ისიც, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით. რადგან პროფესიულ განათლებაში პრაქტიკის კომპონენტი არის უმნიშვნელოვანესი. სასწავლებელს აქვს სივრცე, სადაც შესაძლებელია შედეგების დადასტურება, უშვებს სტუდენტს ამ სივრცეში, რათა მიიღოს პრაქტიკის კომპონენტები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია მსოფლიოში უნიკალური ბაზა, ეს არის მინი მოდელი შახტისა და მასთან დაკავშირებული ყველა ინფრასტრუქტურა, თავისი ხელსაწყოებით და დანადგარებით. ინსტიტუციას აქვს წიაღისეულის საბადოს დამუშავების ლაბორატორია და გამომდინარე იქიდან, რომ შრომის უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია, ვიბრაცია მტვერი და სხვა. აღნიშნულ ლაბორატორიაში ქანების დამქუცმაცებელი დანადგარის ჩართვისას იქმნება ისეთი გარემო, რომელშიც აღნიშნული პროგრამის სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის მიღებას. ეს წარმოადგენს სიმულაციურ ქარხნებს. ასევე აღნიშნა, რომ ბიზნესი და წარმოება დაინტერესებულია ამ

სპეციალობით მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოქროს მომპოვებელი კომპანია RMG, საიდანაც დაწესებულების სტუდენტებს იწვევენ უფასო საზაფხულო სკოლაში, ხოლო წარჩინებულ სტუდენტებს სთავაზობენ სტაჟირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში განსაზღვრული 8% არ არის განვითარებისთვის საკმარისი. ფაკულტეტს გააჩნია თავისი ბიუჯეტი სადაც განვითარებისთვის არის გამოყოფილი გარკვეული თანხები, მაგრამ ბუნებრივია, ყველა პროგრამისთვის არ არის საკმარისი, ამიტომ ექსპერტების ვიზიტის დროსაც დაადასტურა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნახვა, სადაც გაწერილი არის ხარჯები პროგრამების განვითარებისათვის ფაკულტეტის მოთხოვნის საფუძველზე. უნივერსიტეტი ყოველთვის ითვალისწინებს შესაძლებლობის ფარგლებს და ხდება გარკვეული კომპენსირება. ხორციელდება დამატებითი თანხების მოზიდვა პარტნიორი ორგანიზაციების საშუალებით, რომლებიც ასევე ეხმარებიან დაწესებულებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში. მისი თქმით, დამსაქმებლების ხელშეწყობით ერთი წლის წინ განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ახალი აპარატურის შეძენა. ამ ეტაპზე კეთდება ახალი სასწავლო კვლევითი ცენტრი, რომლით სარგებლობაც შეეძლებათ, როგორც ბაკალავრებს, ასევე მაგისტრანტებს და დოქტორანტებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შრომის უსაფრთხოება ორი მიმართულებით განიხილება. ერთი განიხილება, როგორც სანიტარულ-ჰიგიენური სამედიცინო მიმართულებით და მეორე არის დასავლური მიდგომა, როგორც პროფილაქტიკური მედიცინა. ამაში იგულისმხება ის, რომ შეისწავლის ყველა ქიმიურ, ფიზიკურ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ ფაქტორებს, რომელიც წარმოებაში შეიძლება მოქმედებდეს ადამიანზე და აქედან გამომიდინარე ისახება შემდეგ ამა თუ იმ დარგში. რაც შეეხება ტერმინს - „შრომის კანონი“, დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან რეკომენდაციას და მომავალში გეგმავენ გათვალისწინებას, ხოლო „საწარმოო ესთეტიკა და ერგონომიკა“, დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, განსაკუთრებით კი ერგონომიკა, რომელიც გულისხმობს ადამიანის უსაფრთხოებისთვის შექმნილ მანქანა-დანადგარებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო შინაარსი სილაბუსებია წარმოდგენილი, მაგრამ თუ სიღრმისეულდ განვიხილავთ და გავაანალიზებთ სილაბუსებს აღმოვაჩინთ, რომ, „საწარმოს ესთეტიკა და ერგონომიკა“ ძალიან ბევრი რამით ეკვეთება მის წინაპირობას, „შრომის ფსიქოლოგიას“ და ბევრი საკითხი მეორდება. ასევე „შრომის ჰიგიენა“, რომელიც არის წარმოდგენილი ორი მიმართულებით. ამ მხრივ, შრომის ჰიგიენა შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამუშაოს დიზაინის და რედიზაინის კონცეფციით, რაც ახლოს არის შრომის ფსიქოლოგიასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ მცირე გადაფარვას აქვს ადგილი დასაშვებ ფარგლებში, მაგრამ მიდგომა ყველა საგანში არის ერთმანეთისაგან განსხვევბული. მაგალითად, შრომის ჰიგიენაში განიხილება შხამქიმიკატები და ამის განხილვა არ ხდება უჯრედულ დონეზე. განიხილება თუ სად გამოიყენება და რისთვის, როგორ შეიძლება იმოქმედოს ადამიანზე და აქედან გამომდინარე, რა აუცილებელი პროცედურებია ჩასატარებელი. ეს იქნება პროფილაქტიკური სამედიცინო თუ წინასწარი პერიოდული სამედიცინო შემოწმება და ორგანიზაციული საკითხები.

საბჭოს წევრი, გიორგი ღალაძი დაინტერესდა, ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს თუ არა რაიმე ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სილაბუსებს შორის გადაფარვის ზღვრებს და როგორ ხდება ამის გაზომვა?

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მარეგულირებელი ნორმა არ არსებობს, თუმცა სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს გადაფარვა.

საბჭო გადავიდა მესამე საკითხის განხილვაზე.

საბჭოს შემოუერთდა მარიამ შენგელია, შესაბამისად აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე - 4 პუნქტიდან გამომდინარე მან გააგრძელა საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაშიც მეორდება გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების დასკვნებში. მისი თქმით ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები საბაკალავრო პროგრამაში რჩევის სახითაა მოცემული, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება რეკომენდაციის ფორმულირებითაა ჩამოყალიბებული, რადგან სტუდენტების მზაობაც და კომპეტენციაც უფრო მეტია. შესაბამისად, შესაძლებლობებიც მეტია. აქედან გამომიდნარე, ეს საკითხი სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე სხვაგვარად უნდა გამოისახოს. რაც შეეხება სწავლის შედეგბის ფორმულირებას, მან ასევე აღნიშნა, რომ მართალია გარკვეულწილად უნივერსიტეტის გადასაწყვეტია, როგორ ფორმულირებას გააკეთებს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მიმართება არის ის, რომ სწავლის შედეგი იყოს კომპლექსური, ასახავდეს სწორედ იმ მიმართებებს, რაც არის კვალიფიკაციათა ჩარჩოს და სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ პროგრამაში, სადაც #6 სწავლის შედეგი წარმოდგენილია „ორგანიზებას უკეთებს მომუშავეთათვის უსაფრთხო შრომის წესებისა და მეთოდების პროპაგანდასა და სწავლებას, პროფესიული უსაფრთხოების სფეროში მუშავთა ტესტირებას“ სახით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სიტყვა „პროპაგანდა“, ჩანაცვლდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებული საერთაშორისო ტერმინებით: ინსტრუქტაჟი, სწავლება, ტრენინგი და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ მოდერნიზდეს #6 სწავლის შედეგი კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფით.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხება სამაგისტრო პროგრამაზე, კვლევითი კომპონენტს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა“, რომელიც მოიცავს 35 კრედიტს, რაც შესაბაისობაში უნდა მოვიდეს საუნივერსიტეტო რეგულაციებთან. უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით დადგენილია 30 კრედიტი. არსებობს სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტები საუნივერსიტეტო სივრცეში, სადაც ყველგან 30 კრედიტი არის მითითებული. თუმცა ასევე არსებობს ჩანაწერი, სამეცნიერო კვლევით კომპონენტებზე, რომლებიც ცალკე ფასდება, ესენი შეიძლება იყოს პროსპექტუსით, თეორიული ექსპერიმენტული კვლევა და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც შეხება სამეცნიერო წერის უნარების გაუმჯობესებას და შესაბამისი სასწავლო კურსის ჩართვას სამაგისტრო საფხეურზე. მიუხედავად, დაწესებულების პოზიციისა, რომელიც საბაკალავრო პროგრამასთან კლასტერულ ჭრილში იხილავს წარმოდგენილ რეკომენდაციას, ექსპერტთა ჯგუფი ამ რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს, რადგან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევისათვის სამეცნიერო წერის უნარების სწავლების სხვა დონეა საჭირო. ასეთივე მიმართებით, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას და პროგრამას აქვს მიზანი, მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ზრდასრულებისათვის სწავლებას და ტრენინგების ჩატარებას, ამ შემთვევაში გარკვეული საბაზისო კურსები უნდა ჩაერთოს რათა, მაგისტრანტმა შეისწავლოს შესაბამისი მეთოდები და სწავლება. ასევე, გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკა რეალურ გარემოში და ლაბორატორიული სამუშაოები. პროგრამა უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო გამოცდილებას და ანალოგი პროგრამის საფუძვლიან ანალიზს. სწორედ, აქედან გამომდინარეა, რომ მაგალითად, თუკი პროგრამა გაითვალისწინებს თანამედროვე პროგრამების ანალოგს, ნახავს როგორ არის ამ პროგრამების აგებულება, ბლოკების გარკვეული კონცენტრაციების და ა.შ სახით. ამ შემთვევაში, ზუსტად

თავიდან აიცილებს ამ გადაფარვებს. დაწესებულების გადასაწყვეტია რომელ ანალოგ პროგრამას გაითვალისწინებს და როგორ ააგებს პროგრამას, თუმცა ამ გადაფარვების აღკვეთის და თანამედროვე ანალოგი პროგრამების გაზიარებით უზრუნველყოფენ პროგრამის უფრო გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები, რომელიც ხელს უწყობს ამ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, დაწესებულებას და პროგრამას უნდა გააჩნდეს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, სადაც ჩამოყალიბებული იქნება თუ რა სწავლის შედეგებზე გადის სამაგისტრო ნაშრომი, როგორ გადის მათ და რა თემები შეიძლება განიხილონ ამ კონცეფციის ფარგლებში, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ამ მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის გარკვეული მიმართებები და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდაცია შეიძლება იყოს, რომ პროგრამაში მოდერნიზდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა კურსის სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან. ამაზე დეტალურად არის საუბარი ექსერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მე-4 რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს, რომ თითქოს დაწესებულებას დარღვეული აქვეს მაგისტრატურის დებულება. ამ ეტაპზე მოქმედი, 2020 წლის 12 აგვისტოს მიღებულ დებულებაში, რომელიც მაშინ როდესაც დაწესებულებამ გააგზავნა ხარისხის ცენტრში ეს დებულებაც შედიოდა დოკუმენტაციაში, გაწერილია რომ სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობა არის არანაკლებ 30 კრედიტისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მავა კაჭარავამ განაცხადა, რომ პროგრამაში მითითებულ ლინკზე სამაგისტრო ნაშრომისთვის მინიჭებულ კრედიტებთან დაკავშირებით ნამდვილად იყო მითითებული განსაზღვრება, არანაკლებ 30 კრედიტისა, შესაბამისად უნივერსიტეტი არ არის შეზღუდული კრედიტებში, აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ხომ არ ქონდათ სხვა დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით და ხომ არ იხელმძღვანელეს ძველი 2019 წლის დებულებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში საინტერესო სილაბუსები დევს და ერთ-ერთი ასეთია სასწავლო კურსი „შრომითი რესურსების მენეჯმენტი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა და კარგი იქნებოდა რამოდენიმე საკითხის დაზუსტება დაწესებულების მხრიდან, რომლებიც შეეხება იმას თუ ვისი სასწავლო კურსია ეს, ადამიანური რესურსების მართვის, პერსონალის მართვის, თუ შრომითი რესურსების მართვის, ნებისმიერ შემთვევაში, რა კურსიც არ უნდა იყოს წინაპირობების გარეშეა. ის ასევე დაინტერესდა ლიტერატურით, რომელიც მისი თქმით არაადეკვატურად არის შერჩეული კურსებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ 10 რესპოდენტის გამოკითვასთან დაკავშირებით, საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ეს იგივე 10 რესპოდენტია, რომელიც გამოიკითხა საბაკალავრო პროგრამის შემთვევაში. ის დაინტერესდა რამდენად არის შესაძლებელი ერთი და იმავე კითხვების გამოყენება სამივე პროგრამაზე. მან ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა დააფინანსოს პროგრამა საჭიროების შემთვევაში, მაგრამ ეს უნდა იყოს თვალსაჩინო. ჩანაწერიში იმის შესახებ, რომ პროგრამას ჰყავს 21 მაგისტრი და აკლია 8% თანხა, ასევე უნდა იყოს მოცემული იფნორმაცია იმ ნაწილის შესახებ, რაც დააკლდა პროგრამას და ეს თანხა აუნაზღაურა ცენტრალურმა ბიუჯეტმა, რა რაოდენობით ანაზღაურდა, წლიურად რამდენი არის გამოყოფილი, რამდენი მოითხოვეს და რამდენი დაკმაყოფილდა. მისი თქმით, გარედან მოზიდული თანხებზე საუბარი არ შეიძლება, ვინაიდან მოზიდვის წყარო არ არის მუდმივი. გიორგი ღალანიძემ აღნიშნა, რომ იზიარებს ეკატერინე ნაცვლიშვილის მოსაზრებას სასწავლო

კურსის წინაპირობებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მაგისტრებმა ჯერ უნდა შეისწავლონ პრე-კურსი და ამის შემდგომ უნდა მოხდეს შესაბამისი სამაგისტრო დონის სასწავლო კურსის შესწავლა, სადაც შრომის რესურსებზე აღარ იქნება საუბარი და ისაუბრებენ პერსონალის მართვაზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა კითხვა უსაფრთხოების საინჟინრო ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე წინაპირობის გარეშეა და აღნიშნა, რომ საინტერესო იქნეოდა ამასთან დაკავშირებით დაწესებულების კომენტარი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნულ მოსაზრებებთან მიმართებაში განმარტა, რომ მე-4 რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ კრედიტებს, ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2020 წლის დებულებას, რომელიც არის სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი დოკუმენტი და არეგულირებს ამ მიმართულებით კრედიტების განაწილებას თუ სამაგისტრო პროგრამის აგებულებას, შინაარსს და მიმართებებს. თუმცა, 2020 წელს მიღებული ეს დოკუმენტი არ გამორიცხავს იმ ნორმატიულ დოკუმენტებს, რომელიც 2019 წელს მოქმედებდა. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე ექსპერტთა ჯგუფმა წერილში წარადგინდა ბმულები და შესაბამის დოკუმენტებზე წარმოდგენილია გარკვეული საკითხები. ამ კუთხით დაწესებულება ადასტურებს, 2020 წლის დებულებაში უწერია, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი უნდა იყოს არანაკლებ 30 კრედიტისა, მაგრამ სხვა დოკუმენტებში რომელიც მიღებულია 2019 წელს, გარკვევით წერია, რომ სამაგისტრო ნაშრომი არის 30 კრედიტიანი და შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი, რომელთა ნახვაც შესაძლებელია წარმოდგენილ ბმულებში, პირდაპირ ამბობს რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა არის 30 კრედიტიანი და ამ კუთხით არის წარმოდგენილი შეფასების სისტემა და მიდგომები. ამ კუთხით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ის ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომს, მის შესრულებასა და დაცვას, დაწესებულებას ყველგან აქვს იდენტიფიცირებული, რომ მოიცავს 30 კრედიტს.

აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, ინსტიტუციის წარმადგენელმა აღნიშნა, რომ შრომითი რესურსების მენეჯმენტი წარმოადგენს პირველი სემესტრის საგანს, გამომდინარე აქედან, დაშვების წინაპიობა ვერ ექნება. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ თვითონ ამ კურსის დამლევა ასეთი შინაარსით, როგორც არის შემოთავაზებული, საჭიროებს მენეჯმენტის ცოდნას. იგივეა საინჟინრო მიმართულებაზე, თუ დაწესებულებაში მივა სტუდენტი რომელსაც არ აქვს გავლილი მენეჯმენტი. აღნიშნულ საგანთან მიმართებაში წარმოექმნება პრობლემა. აქედან გამომინარე, სწორი იქნებოდა მისი არჩევით საგნად ჩამოყალიბება ან ძირითადი საგნის შემთვევაში წინაპირობის განსაზღვრა. გიორგი ღალანიძემ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ეს მიდგომა არ არის ლოგიკური და პირველ კურსზე არ უნდა ისწავლებოდეს საგანი, რომელსაც უნდა ჰქონდეს წინაპირობა.

დაწესებულების წარმოამდგენელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის პირველ საფეხურზე სტუდენტებს თავად უკითხავს შრომის ფსიქოლოგიას, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე კითხულობს უსაფრთხოების საინჟინრო ფსიქოლოგიას. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე სტუდენტებს უსაფრთხოების მიმართ გარკვეული ცოდნა აქვთ, რა თქმა უნდა ასევე გააზრებული აქვთ უსაფრთხოების ღონისძებები, უსაფრთხოების კანონი და მიმართულებები. ამიტომ, შრომის უსაფრთხოების ადამიანური ფაქტორის კუთხით მათთვის დამლევადა აღნიშნული საკთხები. ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა გიორგი ღალანიძემ კითხვით მიმართა დასებულების წარმოამდგენელს, რა ხდება, როდესაც აღნიშნული უნივერსიტეტი არ აქვს დამთავრებული სტუდენტს და ეს კურსი არ აქვს მოსმენილი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უსაფრთხოების საინჟინრო ფსიქოლოგია არ სწავლობს ფსიქიკურ პრობლემებს და ფსიქიკის გამოვლინებებს. აქ განიხილება ადამიანის ფაქტორი უსაფრთხოების კუთხით, ანუ უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიური ფაქტორები. შესაძლოა ადგილი ქონდეს სანიტარული ნორმების არ შესრულებას, არ იყოს

კონცენტრირებული, გამოყენებული არ იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების საინჟინრო ფსიქოლოგია განიხილავს ადამიანურ ფაქტორს ტექნიკასთან მიმართებაში, ორგანიზაციულ ჭრილში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვა დაუსვა დაწესებულების წარმოამდგენელს პროგრამაში შეტანილი შრომითი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, თავის მხრივ შრომის უსაფრთხოება ბაკალავრიატში შეისწავლება. სასწავლო კურსს წინ აქვს პრე-რეკვიზიტი კურსი - „საწარმოს ესთეტიკა და ერგონომიკა“ და თუკი ამ ციკლს გავყვებით, აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრი დაძლევს სამაგისტრო პროგრამაზე შეთავაზებულ სასწავლო კურსს, მაგრამ თუ მაგისტრატურაზე დაწესებულება მიიღებს სტუდენტს, რომელსაც არ აქვს გავლილი აღნიშნული კურსები, ამ შემთხვევაში რა იქნება დაწესებულების პოზიცია.

ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციის წარმოამდენელმა, აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში მიღების წესები განსხვავებულია, სტუდენტი რომელიც მისაღებ გამოცდებს აბარებს, შემდგომ ამისა უნივერსიტეტშიც აბარებს სპეციალობის გამიცდას. სადაც გაწერილი არის ისეთი საკითხები, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურზე უნდა გაეარა კანდიდატს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშრებით შედგენილია 500 მდე შეკითხვა, რომელიც იკრიბება სხვადასხვა ლიტერატურიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა დანელიამ მაგისტრატურის დებულებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცდა დებულება განახლებული სახით და აღნიშნულმა დადგენილებამ, სრულად გააბათილა 2019 წლის მოდიფიცირებული დებულება. ასევე განიმარტა, რომ ვიზიტის დროს იყო ტექნიკური უზუსტობები ვებგვერდზე, რადგან ერთერთ ველში არასწორად იყო დებულება ატვირთული, თუმცა ამ ეტაპისთვის უკვე განახლებული და ჩასწორებულია. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ ესმის დაწესებულების პოზიცია, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ არაფერი არ არის ნათქვამი სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შესახებ და სამაგისტო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებზე. ამ შემთხვევაში რომელი დებულებით რეგულირდება ეს საკითხი. ექსპერტის თქმით, ძალაში რჩება ის, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია კი არა, მთლიანად სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი უნდა იყოს წარმოდგენილი, სადაც ყველაფერი იქნება გაწერილი, დაწყებული სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებიდან, დამთავრებული შეფასების კომპონენტით. თუკი დაწესებულება ადასტურებს, რომ 2019 წლის დოკუმენტით აღარ სარგებლობს, მისი თქმით ეს ძალიან ცუდია, რადგან მიღებული 2020 წლის დოკუმენტი არ მოიცავს იმ ჩანაწერებს, რაც 2019 წლის დებულებაში და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა დანელიამ აღნიშნა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი დებულების მეორე დანართით არის დეტალურად გაწერილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ აღნიშნულზე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი დებულების დანართები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო დისკის პრობლემა და შესაძლოა იქ არ გახსნილიყო აღნიშნული დანართები, თუმცა დაწესებულების ხარისხის სამსახურში წარმოდგენილ ვერსიაში ყველა დანართით არის წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ იქნა შემუშავებული პროგრამისთვის კვლევის მეთოდების და აკადემიური სამეცნიერო წერის საკითხების მომცველი სასწავლო კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა დაადასტურა რომ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

სამაგისტრო ნაშრომებში ლიტერატურის სიმცირესთან დაკავშირებულ კითხვას უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა, რომელმაც აღნიშნა რომ

თითოეულ სამაგისტრო ნაშრომზე პასუხისმგებელი არის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომები გადანაწილებულია შემდეგნაირად: კარგი, საშუალო და დაბალი შესრულების. აღნიშნული ნაშრომი სავარაუდოდ წარმოადგენს დაბალი შესრულების ნაშრომს, თუმცა ლიტერატურის რაოდენობის განსაზღვრა ხელმძრანელის პრეროგატივაა.

საბჭოს თავმჯდომარემ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ციცინო თურქაძეს, რომელმაც განაცხადა, რომ გაეცნო ამ საკითხს და გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში არ იყო ჩართული სამცენიერო წერის საფუძვლები და სამაგისტრო ნაშრომზე ისე გადის სტუდენტი, რომ მას არ აქვს ამ მიმართულებით ცოდნა, ამან განაპირობა ეს შედეგი სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით. სწორედ ამით იყო განპირობებული ის რეკომენდაცია, რომელიც შეეხება სამეცნიერო წერის საკითხებს და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის შექმნას.

საბჭო გადავიდა მეოთხე საკითხის განხილვაზე

საბჭო შემოუერთდნენ გაიანე სიმონია და ნინო ინასარიძე

მოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სადოქტორო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქაც არის გარკვეული რეკომენდაციები ინტერნაციონალიზაციასთან, სამიზნე ნიშნულებთან და სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, სადოქტორო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბუნდოვნად (მაგ: ადგენს ცოდნის განახლებულ საზღვრებს). უნდა იყოს გამოყენებული ისეთი ზმნები და აღწერები, რომლებიც მერვე დონის რელევანტურია. ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული ანალიზი, შეფასება, და ა.შ რასაც ვერ ვხვდებით ამ სწავლის შედეგების ფორმულირებაში. ასეთივეა მაგალითად მესამე სწავლის შედეგი ”პროგნოზირებს ანალიტიკური მეთოდების შემუშავებისა და ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს”, როგორ შეიძლება კვლევის შედეგების პროგნოზირება ამ კუთხით გაუგებარია. რაც შეეხება ამ კუთხით სწავლის შედეგების მიღწევას, ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული მიმართებები სასწავლო კურსის არჩევითობაზე და ძირითადობაზე. არის ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც არჩევითი სახით არის წარმოდგენილი, თუმცა სწავლის შედეგები ისეა გაწერილი, რომ ეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგისთვის საკვანძო და განმსაზღვრელია, რაც წარმოდგენილია შესაბამის დასკვნაში. ასევე ამ კუთხით არის რეკომენდაციები სასწავლო კურსების გადამუშავებასთან და ორგანიზებასთან დაკავშირებით (მაგ: „რისკის კონტექსტები და უსაფრთხოების მენეჯმენტი“), რომელიც უნდა მოდერნიზდეს სადოქტორო პროგრამისა და მერვე საფეხურის აღწერის შესაბამისად. რაც შეასწავლის დოქტორანტს რისკის შეფასებას, მართვას და კომუნიკაციას. დასკვნაში წარმოდგენილია ბევრი რეკომენდაცია სასწავლო კურსის გაუმჯობესების შესახებ. რაც მიმართულია ინგლისურ ენოვანი ლიტერატურის გამოყენებისაკენ, პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი აქტივობების გაძლიერებისაკენ, ასევე სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შესაბამისი ქეიისების თუ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების უფრო ფართოდ შემოტანისა და დანერგვისაკენ. რეკომენდაციები

რჩება იგივე პერსონალთან, მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან, ინტერნაციონალიზაციასთან, უცხოელი პროფესორების მოწვევასთან, ფინასნების გამოყოფასთან, თვითშეფასებაში ჩართული პირების ტრენინგთან და კომპეტენციის გაზრდასთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ ორი არჩევითი სასწავლო კურსი არის პროგრამაში, პროგრამა წარმოადგენს 50 კრედიტიან სასწავლო კურსს, ხოლო დანარჩენი კვლევის კომპონენტს. თუ პრაქტიკულად სტუდენტმა 50 კრედიტი ვერ შეასრულა, ის ვერ გავა შედეგებზე. აქედან გამომდინარე ორი სასწავლო კურსიდან, ერთი აუცილებლად უნდა იქნეს. სადოქტორო პროგრამა შედგება ორი სასწავლო კურსისგან და კვლევის კომონენტისგან, პირველ კურსზე დოქტორანტი აგროვებს 30 კრედიტს, ხოლო მეორეზე - 20 კრედიტს. სწავლის შედეგებზე მუშაობისას, ინსტიტუციამ იხელმძღვანელა არაპოპულარული, გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების გზით. ეს ორივე არჩევითი სასწავლო კურსი ერთსა და იმავე სწავლის შედეგებზე გადის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ინსტიტუციის პოზიცია, რომ ერთი და იგივე სწავლის შედეგი ორი არჩევითი სასწავლო კურსისთვის არის რელევანტური. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ამ სასწავლო კურსების არჩევითობის და სავალდებულო სტატუსის განსაზღვრა. მაგალითად, როდესაც საუბარია #1 სწავლის შედეგზე, რომელიც ამბობს, რომ „განიხილავს შრომის უსაფრთხოების კონცეფციებს და თეორიებს, ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ტექნიკურ რეგლამენტებს, შრომის პირობების შეფასების პრინციპებს, საგანგებო სიტუაციაში მოქმედების წესებს და რეგულაციებს, კვლევის ობიექტის ორგანიზაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს“. ამ კუთხით, სასწავლო კურსი, რომელიც ასწავლის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს პროფესიულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის პოლიტიკაში არის არჩევითი კურსი, რომელიც სტუდენტს შეუძლია არ აირჩიოს. მაშინ როგორ გავა იმ სწავლის შედეგზე დოქტორანტი, რომლის მიხედვითაც ის განიხილავს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე არის ერთ-ერთი სწავლის შედეგი, „აჯამებს ტექნოგენური საშიშროებით გამოწვეულ მოსალოდნელ შედეგებს, საწარმოო უსაფრთხოების დარღვევის რისკ-ფაქტორებს, ადამიანზე მათი ზემოქმედების დონეს, ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული გარემოს უსაფრთხოებაზე“. აღნიშნული სწავლის შედეგისათვის პროგრამაში სწორად არის იდენტიფიცირებული, რომ არჩევითი სასწავლო კურსი წარმოადგენს განმსაზღვრულ უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, მაგრამ თუ სტუდენტი ამ სასწავლო კურსს არ აითვისებს, როგორ გავა პროგრამის სწავლის შედეგზე? აქედან გამომდინარე, ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეს ორი სასწავლო კურსი არჩევითი სახით წარმოდგენილი თითოეული სწავლის შედეგისთვის არის განმსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი დაწესებულებას პროგრამის ჯვარედინ რუკაზე აქვს წარმოდგენილი და ექსპერთა ჯგიფის რეკომენდაციაა რომ უფრო მეტად განისაზღვროს პროგრამა ამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული სწავლის შედეგზე რამოდენიმე საგანი გადის, ხოლო ის საგნები, რომლებიც არის არჩევითი, მათი შეტანა არ მოხდებოდა შედეგების რუკაში თუ ეს არჩევითი საგნები გავიდოდა სხვადასხვა შედეგებზე. გამომდინარ იქიდან, რომ ეს არჩევითი საგნები გადის ერთსა და იმავე შედეგებზე, დაწესებულებას ჰქონდა ამის უფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პროგრამა კლასიფიკატორის განმსაზღვრელით მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, რაც განსაზღვრავს სადისერტაციო

ნაშრომის თემატიკის მრავალ ფეროვნებას, როგორც ტექნოლოგიური უსაფრთხოების კვლევის მიმართულებით, ასევე შრომის პირობებში ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, არჩევითი საგნები შეირჩევა დოქტურანტის თემის სფერიზიკურობიდან გამომდინარე. სასწავლო კურისის „ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები პროფესიული უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პოლიტიკაში“, მიზანს წარმოადგენს ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და ამ სტანდარტების გამოყენება ობიექტების უსაფრთხო ექსპულატაციის მიზნით. რაც მოიცავს ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორიც არის ნახშირის შახტების, კარიერების, ტვირთამწეების, ლიფტების, ექსკავატორების და ა.შ უსაფრთხო ექსპულატაცია. ესენი სუფთა ტექნიკური, ძირითადად მომეტებული საფრთის შემცველი მავნე და საშიში ფაქტორების შემთვევებია. მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიური კუთხით უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიური ფაქტორები განიხილავს შრომის პირობებში. აქედან გამომდინარე, დოქტორანტი თემის შესაბამისად აირჩევს მიმართულებას, რომელიც მისთვის არის საინტერესო. თუ ის ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებით, პროფესიულ შერჩევასთან დაკავშირებით აკეთებს სადისერტაციო თემას, რა თქმა უნდა აიღებს უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალანიძემ დასვა შეკითხვა, თუ რამდენად რელევანტურია შრომის ბაზართან და ბიუჯეტთან დაკავშირებით 10 რესპოდენტის გამოიკითხა პროგრამის სამივე დონეზე. ითხოვა განამრტება თუ ვინ არიან ესენი. ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით დეტალების დაზუსტება. მან ასევე დასვა შეკითხვა, რომ დისერტაციის ლიტერატურის ნუსხაში არის გამოყენებული უცხო ენოვანი მასალა, ერთ-ერთი ასეთია ენრიკო ფერმის „თერმო დინამიკა“, რომელიც 1937 წელს არის გამოცემული. სადოქტორო ნაშრომში რელევანტური არის თუ არა 1937 წელს გამოცემული ლიტერატურის გამოყენება? ასევე მითითებულია 70-იანი წლების რუსული ლიტერატურა. ერთ დისერტაციაში კი სულ 26 წყარო იყო გამოყენებული. ხომ არ არის დარგში ასეთი სტანდარტი ლიტერატურის რაოდენობასთნ დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. 2.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, ზღვრული ქულების განსაზღვრის თაობაზე, ხომ არ იყო ძალიან მკაცრი შეფასება (ნაწილობრივი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან). თვითონ სილაბუსები რაც არის სასწავლო კომპონენტში, მესამე ბრძანების მინიმალურ სტანდარტს ყველავარიანტში აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩადებულია სასწავლო უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა, თუმცა ამ შემთვევაშიც ეს სასწავლო კურსი გარკვეული თავლთახედვით იმეორებს საბაკალავრო პროგრამაში ჩადებული იგივე შრომის ფსიქოლოგიის და ასევე სამაგისტრო პროგრამაში ჩართული საინჟინრო ფსიქოლოგიის კურსის გარკვეულ საკითხებს. შესაძლებელია საკითხების განმეორება არ არის პრობლემა იმისათვის, რომ სიღრმე ყოფილიყო მკაფიოდ გამოკვეთილი. სწავლის შედეგებს თუ დავაკვირდებით, რას აკეთებს დოქტურანტურის დონეზე ადამიანი, განიხილავს შრომის პირობებში ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებასა და ორგანიზაციულ ტექნიკურ ფაქტორებს, ადგენს უბედური შემთხვევების წარმოქმნის მიზეზთა ინტეგრაციულ სქემას, განსაზღვრავს ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს. რამდენად რელევანტური სწავლის შედეგებია სადოქტორო პროგრამისთვის და რამდენად გვავქვს შესაძლებლობა იმის თქმის, რომ ეს საკითხები თავისი სიღრმით არ იმეორებს ბაკალავრიატში გავლილ საკითხებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის სადოქტორო პროგრამა და მასთან მიმართებაში გამოკვეთილად ამბობს ექსპერტთა ჯგუფი, რომ სასწავლო კურსების შეფასება იდენტური არ უნდა აიყოს და არ უნდა მეორდებოდეს გარკვეული კრიტერიუმები საბაკალავროს და სამაგისტროს პროგრამებიდან.

სადოქტორო პროგრამაში ექსპერტები ამბობენ, რომ უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ სადოქტორო საფეხურის სინთეზის დასკვნების ჩამოყალიბების კომპინენტებზე და საკითხებზე. მისი თქმით რეფერატს დათმობილი აქვს 18 ქულიანი შეფასების წილი, საერთო შეფასების გათვალისწინებით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა უარი თქვას რეფერატის შესრულებაზე, დააგროვოს საკმარისი ქულათა რაოდენობა და გავიდეს საბოლოო გამოცდაზე. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა ხომ არ არის საჭირო რეფერატში წარმოდგენილ იქნას ზღრული ქულა. ეს საკითხები, იმ სწავლის შედეგებისათვის და კომპონენტისათვის, რომელიც საკვანძო არის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგისათვის, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს რომ ზღვრულის ქულის პრაქტიკა ლოგიკურად უნდა იყოს წარმოდგენილი თავისთავად აკადემიური თავისუფლების ფარგლებში.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა განმარტა რომ, მთავარია ინსტიტუცია კანონს არ არღვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშნების ელექტრონულ პორტალზე არის მითითება. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტების მიხედვით სტანდარტის მოთხოვნას თუ ზღვრულ ქულებს არ გამოიყენებენ. დაწესებულების წარმომაგდენელმა შალვა კელეტრიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულება იცავს მინიმალურ სტანდარტს მიმდინარე შეფასებასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია მაქსიმალური 60 და მინიმალური 30 ქულა. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი კანონის გათვალისწინებით ფორმულირებები აკადემიური პერსონალის გადასაწყვეტია. ასევე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს შეაბამისი ბლოკი მასალების ჩაბარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იზიარებს დაწესებულების პოზიციას და ექსპერტთა ჯგუფს აქვს ნდობა ამ პროცესის მიმართ, თუმცა სილაბუსში ეს აუცილებლად უნდა აისახოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია, ძველი ლიტერატურის გამოყენება, მაგალითად მომხსენებლის დისერტაციაში 1678 წლის ლიტერატურაც კი არის გამოყენებული, რომლებიც ზოგადად აღიარებულია პრაქტიკული გამოყენებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უსაფრთხოების დაცვის ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშრებულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი საკითი შრომის უსაფრთხოებაში, იქიდან გამომდიარე, რომ ხშირ შემთვევაში თემატიკა აღებულია პროფესიული თვალთახედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც არ ეთანხმება შესახებ რომელსაც არ ეთანხმება, ესენია მე-8, მე-9, მე-10 რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა მე - 8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ევროპულ პროგრამებზე მუშაობისას, მათ მიეცათ საშუალება უფრო დეტალურად გაცნობოდნენ „European University“-ს პროგრამებს, რომელებზეც პასუხში არის განმარტებული. წარმოდგენილია ბმულები, სადაც გამოქვეყნებულია აღნიშნული სილაბუსები, ეს ბმულები ხელმისაწვდომია. იქ არის როგორც შინაარსობრივი ნაწილი, ასევე ლიტერატურა. ერთ სილბუსს ჰქვია „რისკის კონტექსტები“, რომელიც არის 2020 წლის სილაბუსი, ევროპული უნივერსიტეტის მეორე სილაბუსს ჰქვია „რისკის კონტექსტები და უსაფრთხოების მენეჯმენტი“, ისევე, როგორც ეს არის განსაზღვრული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ასევე მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ უსარგებლია 2021 წლის „European University“-ს სილაბუსით. შინაარსობრივად, კრედიტების განაწილებით და ლიტერატურით იდენტურია ტექნიკური უნივერსიტეტისა და „European University“-ს მიერ გამოგზავნილი სილაბუსები. მხოლოდ დასახელებაში არის ცვლილება. სიცოცხლის უსაფრთხოების სასწავლო კურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ სასწავლო კურსში გაწერილია თემატიკა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო, სამეურნეო, სამოქალაქო სოციალური, საგანგებო სიტუაციების საშიშროების შეფასებას და უსაფრთხოების მართვის, საგანგებო სიტუაციის განვითარების ფაზებს, ავარაიულ შემთხვევის მართვის ღონისძიებების საკითხებს, რაც მოითხოვს სხვადსხვა ფაზებს. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა მოახერხოს სტუდენტმა, დოქტორანტმა ამ ფაზის გარჩევა, რადგან აქ რეკომენდაცია არის იმასთან დაკავშირებით რომ გარკვეულ დეტალურ

სფეროს თითქოს სცილდება სასწავლო კურსი, ეს ასე არ არის. „პროფესიული უსაფრთხობა და ჯანმრთელობა“ მიეკუთვნება 10/22 დეტალურ სფეროს, რომელიც განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და შრომითი პირობებში ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებას. ხოლო სფერო 10/32 ადამიანის და საკუთრების დაცვაა. აღნიშნული პროგრამის კვალიფიკაცია უკავშრდება უბედური შემთხვევის, მათ შორის სტიქიური და საომარი, უბედური შემთხვევის მოხდენისა და ექსტრემალურ პირობებში სამაშველო ღონისძიებების უზღუნველყოფას. აქედან გამომდინარე, დაწესებულება უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ადგილზე შემუშავებული გეგმის მიხედვით, თითოეულ წარმოებას აქვს ექსტრემალური პირობებში საეუვაკუაციო სამუშაო გეგმა. შემდეგი რეკომენდაცია ასევე უკავშრდება სილაბუს, „ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები პროფესიულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის პოლიტიკაში“, სასწავლო კურსის მიზნები, შინაარსი და შედეგები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების ეროვნულ და საერთაშორისო პრინციპებს, საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს, შრომის დაცვის მართვის სისტემას და ა.შ. აქ განხილულია პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკაში საერთაშორისო სტანდარტების მიღებასა და გამოყენებასთან დაკავშრებული ზოგიერთი ზოგადი პრინციპები. ასევე მძიმე მავნე და საშიშ პირობებიანი სამუშაოების ანალიზი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მოიცავს ჩანაწერს ამ სასწავლო კურსის დასახელების და პროგრამის სწავლის შედეგების ერთმანეთს შეესაბამისობაზე. თუმცა, სასწავლო კურსის მიზნები, შინაარსი და შედეგები გათვლილია მხოლოდ მომეტებული ტექნიკური საფრთხის ობიექტების ეროვნული სტანდარტების შესწავლაზე და მწირად არის ასახული პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოების სფეროს საერთაშორისო სტანდრატები. „აღნიშნულ კურსს მხოლოდ 3 საათი უკავია“, ამ ჩანაწერის საპასუხოდ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საშიშ პირობებიანი სამუშაო ნიშნავს საწარმოო გარემოს, სამუშაო პროცესს, რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დავაადების, ადამიანის ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრი გაუარესების მიზეზი. ასევე, რაც შეეხება სტანდარტებს, ის შემუშავებულია საერთაშორისო ნორმების მიხედვით, აქაც დაწესებულება იყენებს ევრო რეგულაციებს რატიფიციირებულ ხელშეკრულებებს და ამითი ხდება ამ სტანდარტების შემოწმება. მისი თქმით 3 საათი აღნიშნულის შესასწავლად სრულიად საკმარისია. სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ, პროგრამის სფეციფიურობიდან გამომდინარე, როგორც ძირითად, ისე დამხმარე ლიტერატურად გამოყენებული არის შესაბამისი შინაარსის სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, დისერტაციები. ის თვლის, რომ ამ ეტაპზე ინგლისური ლიტერატურის რაოდენობა სავსებით შეესაბამება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგზე გასვლას, მაგალითად კვლევის მეთოდები პროფესიულ უსაფრთხოებაში მოიცავს 13 ინგლისურენოვან ლიტერატურას. მთელი პროგრამა სადაც 8 სილაბუსია მხოლოდ სასწავლო კომპონენტის სახით მოიცავს 157 დასახელების უახლესი ლიტერატურის ჩამონათვალს მათ შორის 67 ინგლისურენოვანს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ გარკვეულ საკითხებში ექსპერტთა ჯგუფის და დაწესებლების პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა, განსაკუთრებით მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმოადგენელი აცხადებს, რომ სასწავლო კურსში საერთაშორისო სტანდარტები ისწავლება და საჭიროა. ამას ეთანხმება ასევე ექსპერტთა ჯგუფი, მაგრამ არა მხოლოდ 3 საათი არამედ უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს აღნიშნულ სასწავლო კურსს. აქედან გამომდინარე, ეს სასწავლო კურსები საინტერესოა, მაგრამ ისე არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომ გარკვეული საკითხები სადაო ხდება. ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს ამ სასწავლო კურსის გაუმჯობესებაზე და არა იმაზე, რომ ეს სასწავლო კურსები არ ვარგა ან არ არის შემოსატანი. აქედან გამომინდარე, ექსპერტა ჯგუფი ფიქრობს, რომ ამ სასწავლო კურსებში გადასახედია ის მომენტები, რაც დასკვნაში არის წარმოდგენილი. აუცილებელია სწვალის შედეგების ფორმულირება და კავშირები შინაარსთან. ხოლო, რაც შეეხება ლიტერატურას, ექსპერტები ეთანხმებიან საბჭოს წევრის გიორგი ღალანიძის მოსაზრებას, მისი თქმით, მე-18 რეკომენდაცია სწორედ ამით არის განპირობებული, რომ

ინსტიტუციამ და პროგრამამ გააძლიეროს შესაბამისი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის ტრენინგები და შესაბამისი მომენტები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, რისკების კონტექსტებთან და უსაფრთხოების მენეჯმენტთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:00

დასრულების დრო: 20:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საბაკალავრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 3 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შედეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზანი - შეასწავლოს „შრომის უსაფრთხოების კანონი და უსაფრთხოების ტექნიკის მირითადი მოთხოვნები“ შეიცვალოს და იგი ორიენტირდეს შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესწავლაზე, რომელსაც ეყრდნობა ეროვნული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ;
2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
3. მოდერნიზდეს #9 სწავლის შედეგი, რომელშიც არ იქნება გამოყენებული ფორმულირება „ამზადებს სემინარებს“;
4. მოდერნიზდეს #5 სწავლის შედეგი, საბაკალავრო პროგრამის კომპლექსური სწავლის შედეგის ფორმულირებით;
5. მოდერნიზდეს #10 სწავლის შედეგი კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფით (უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), მათ შორის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით;
6. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
7. პროგრამის სტრუქტურაში გაიზარდოს სპეციალობის არჩევითი კურსების წილი და სასწავლო კურსები გადანაწილდეს უცხოური ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებით;
8. გააუმჯობესეთ პროგრამა შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრულად და ლოგიკურად წარმოდგენის, ასევე სასწავლო კურსების თემების არსებითი გადაფარვის აღკვეთის მხრივ;
9. პროგრამა მოქმედებს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დეტალური სფეროს ჩარჩოებში. შესაბამისად, პროფესიული დაავადებების, პირველადი გადაუდებელი დახმარების, სამრეწველო ტოქსიკანტების მოქმედებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის ზოგადი საბაზისო სასწავლო კურსის შემოტანა, ასევე რეკომენდებულია სასწავლო კურსის „სამრეწველო ტოქსიკოლოგია“ სავალდებულო სასწავლო კურსად წარმოდგენა;

10. შეიცვალოს არჩევითი სასწავლო კურსი „შესავალი ფსიქოლოგიაში“ სტატუსი და განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. აღნიშნული კურსი 10 განისაზღვროს პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსის „შრომის ფსიქოლოგია“ წინაპირობად;
11. პროგრამის სტრუქტურასა და შინარსში განისაზღვროს რეალურ სამუშაო გარემოში წარმართული საწარმოო პრაქტიკა;
12. პროგრამაში ჩაერთოს კომუნიკაციის უნარების (წერითი და ვერბალური) საბაზისო სასწავლო კურსები, რაც შეიძლება შესრულდეს არსებული სასწავლო კურსების გაერთიანებით ან/და შესაბამისი სასწავლო კურსის დამატებით;
13. სავალდებულო სასწავლო კურსები, როგორიცაა „მშენებლობის ტექნოლოგიის საფუძვლები“, „ზოგადი გეოლოგია“, „მეტალურგიული ტექნოლოგიის საფუძვლები“, „წიაღისეულის საბადოთა დამუშავების საფუძვლები“, „ზოგადი ენერგეტიკის საფუძვლები“ სწავლის შედეგები განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირში და მოცემული სწავლის შედეგები უნდა დადასტურდეს გამოყენებული შეფასების მეთოდებით;
14. პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსში „სამთომაშველო საქმე“ აისახოს უხლესი და თანამედროვე პრაქტიკაში გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და აპარატურის სწავლება;
15. სასწავლო კურსი „ზოგადი ქიმია“ გადამუშავდეს პროგრამის საჭიროებების მიხედვით და მასში აისახოს თემები არაორგანული და ორგანული ქიმიის საკითხებზე, (დარგობრივი სასწავლო კურსები განიხილავს ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის ორგანული ნაერთების ფართო სპექტრს, რაც სტუდენტმა ქიმიის სასწავლო კურსით უნდა ისწავლოს);
16. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი დასახელებით - „შრომის უსაფრთხოების კანონი“ ატარებს გაცნობით ხასიათს და სტუდენტებს ასწავლის შრომის უსაფრთხოების ძირითად საფუძვლებს, რეკომენდებულია სასწავლო კურსის დასახელება განისაზღვროს როგორც „შესავალი შრომის უსაფრთხოებაში“;
17. უზრუნველყოფილ იქნას უცხო ენის ჯგუფებში პროგრამის სტუდენტთა გადანაწილება ცოდნის დონის შესაბამისადსასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურას დაემატოს ეროვნულ დონეზე არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და საკანონმდებლო აქტები, მათი გამოყენება გააუმჯობესებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას;
18. უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისათვის აკადემიური წერის ტექნიკებისა და ციტირების წესების სწავლება, საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით ეს მოთხოვნები რეალიზებულ იქნას საბაკალავრო ნაშრომში;
19. რეკომენდირებულია იმ სასწავლო კურსის სილაბუსების გადამუშავება, სადაც სასწავლო თემატიკები მეორდება;
20. გაიზარდოს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებელი სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
21. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
22. რეკომენდირებულია სასწავლი კურსის შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას და სწავლის შედეგებს;
23. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასება PDCA-ციკლის გამოყენებით;
24. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;

25. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
26. გადამუშავდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პერსონალის გამოკითხვის კითხვარები. საჭიროა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპონდენტის რეალურ განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირების 12 საშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადექვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მიეთითოს კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი.

რჩევები

1. პროგრამის შემდგომი მოდერნიზებისა და განვითარების პროცესში, რეკომენდებულია დაინერგოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდები, მათ შორის დიდი ყურადღება გამახვილდეს შემთხვევის ანალიზისა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ვიდეო-რგოლებისა და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რაც შესაბამისობაში იქნება კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და შეფასების მიდგომებთან;
2. სასწავლო კურსების მიმდინარე შეფასებისათვის ზღვრული ქულები განისაზღვროს იმ კომპონენტების აუცილებლობაზე ორიენტირებით, რომელიც საკვანძოა სასწავლო კურსის სწავლის შედეგის შეფასებისათვის;
3. სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის გაზრდა, რათა სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს;
4. სასურველია პროგრამამ უფრო ინტენსიურად გამოიყენოს მრავალფეროვანი მიდგომები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველკურსელ სტუდენტებს, სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ, ასევე ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ;
5. დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების შესაბამისი პერსონალის ჩართვა პროგრამაში (მაგ. საწარმოო უბედური შემთხვევებისას პირველადი დახმარება, პროფესიული კომუნიკაციები, შრომის ფსიქოლოგია), ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებს პროგრამის მოდერნიზებას და სხვადასხვა კურსების დამატებას;
6. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
7. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCACიკლის გამოყენებით;
8. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;
9. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყავით ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, რაც გააუმჯობესებს თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს

10. სასურველია შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
11. სასურველია #5 სწავლის შედეგის ფორმულირებისათვის გამოიყენონ მიმართება, რომ სტუდენტი წინასწარგანსაზღვრული მითითებების მიხედვით იყენებს ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების თეორიებსა და პრინციპებს შრომის უსაფრთხოების სფეროს ცალკეული ამოცანების ამოხსნისათვის;
12. სასურველია, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის იხელმძღვანელოთ ანალოგი პროგრამებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების თანამედროვე მიდგომებით - კომპლექსურობისა და ლაკონურობის პრინციპით;
13. პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულთა ჩარიცხვის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში შესაძლებელია აისახოს პროგრამის სპეციფიკური მიმართებები;
14. პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსი დასახელებით - „შრომის უსაფრთხოების კანონი“, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში. რადგან ეს სასწავლო კურსი ატარებს გაცნობით ხასიათს და სტუდენტებს ასწავლის შრომის უსაფრთხოების ძირითად საფუძვლებს, რჩევაა, რომ სასწავლო კურსის დასახელება განისაზღვროს როგორც „შესავალი შრომის უსაფრთხოებაში“;
15. სასურველია დაწესებულებამ, მოცემული პროგრამის ფარგლებში დანერგოს სხვადასხვა სფეროს ე.წ. „გესტსპიკერების“ მიწვევა, როგორც წარმოებისა და ბიზნესის, ასევე საჯარო სამსახურების მხრიდან, რომელიც განხორციელდება გარკვეული პერიოდულობით;
16. სასურველია, საწარმოო პრაქტიკაში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სხვადასხვა სექტორებში სტუდენტების მივლინება, სტუდენტთა როტაციის პრინციპით;
17. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი და მე - 3 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტადარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მოდერნიზდეს #6 სწავლის შედეგი კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფით, მათ შორის შემდეგი ჩანაწერის გათვალისწინებით: „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება“;
2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4. კვლევითი უნარების განვითარებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის რეკომენდებულია დარგობრივი კვლევის მეთოდებისა და სამეცნიერო წერის ტექნიკების საკითხების მომცველი სასწავლო კურსების შემუშავება;
5. გაიზარდოს დარგობრივი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
6. გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ლაბორატორიული სამუშაოებისა და რეალურ გარემოში საწარმოო პრაქტიკის მხრივ;
7. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული პროექტები და პრაქტიკა დაეფუძნოს რეალურ სასწავლო გარემოს კვლევას და შესრულდეს არა მარტო ინჟინერიის მიმართულების საწარმოებში, არამედ სხვადასხვა დაწესებულებებშიც. სასწავლო კურსისათვის „უსაფრთხოების ტექნიკა“ დაწვრილებით გაიწეროს პრაქტიკის კომპონენტი;
8. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“ პრაქტიკული პროექტის თემატიკებში სტუდენტის მზაობის გათვალისწინებით;
9. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „შრომითი რესურსების მენეჯმენტი“ დაზუსტდეს წინაპირობა, კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საფეხურთან;
10. გაიზარდოს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებელი სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში და კვლევებში ჩართულობა;
11. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
12. სასწავლო კურსების შუალედური შეფასებისათვის ზღვრული ქულები განისაზღვროს იმ კომპონენტების აუცილებლობაზე ორიენტირებით, რომელიც საკვანძოა სასწავლო კურსის გარკვეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის;

13.მოდერნიზდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა კურსის სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან. მაგალითად, ასეთი კურსებია: „შრომითი რესურსების მენეჯმენტი“, „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“, „საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებები“, „ტექნოლოგიური პროცესების ხანძარუსაფრთხოება“, „ტექნოლოგიური პროცესების აფეთქებაუსაფრთხოება“;

14.სასწავლო კურსებში გამჭვირვალედ განისაზღვროს შეფასების კომპონენტების, მეთოდების და დავალებების წარდგენის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის დროულ მიწოდებას. მაგალითად, ასეთი სასწავლო კურსებია: „ტექნოგენური საგანგებო სიტუაციები“, „შენობების აღდგენითი სამუშაოების უსაფრთხოება“, „ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაცია“, „საწარმოო გარემოს სანიტარული უსაფრთხოება“, „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“;

15.გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტების კონსულტირებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, კვლევის პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესებში;

16.ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასება PDCA-ციკლის გამოყენებით;

17.მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;

18. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;

19.გაუმჯობესდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პერსონალის გამოკითხვის კითხვარები. საჭიროა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპონდენტის რეალურ განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადექვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მიეთითოს კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი;

რჩევები:

1. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
2. პროგრამაში ჩაერთოს ისეთი სასწავლო კურები, რომელიც შეასრულებს ზრდასრულთა სწავლების მეთოდების ან/და TOT (Training Of Trainers) საბაზისო კურსის როლს;
3. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება დაეყრდნოს ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებასა და საფუძვლიან ანალიზს;
4. შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება ამ კვლევითი კომპონენტის დარგობრივი სწავლის შედეგები და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია სტუდენტები სწავლობდნენ აკადემიური წერის ტექნიკებსა და ციტირების წესებს და ეს მოთხოვნები რეალიზებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომში;

5. სასწავლო კურსების მირითად ლიტერატურად დამატებით განისაზღვროს ეროვნულ დონეზე არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა, ანგარიშები, კვლევები, შეფასებები და საკანონმდებლო აქტები, მათი გამოყენება გააუმჯობესებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსში „შრომისა და საგანგებო სიტუაციების საკანონმდებლო ბაზა“ საჭიროა მირითადი ლიტერატურის განახლება, რადგან 2011 წელს გამოცემული სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის აღწერას;
6. პრაქტიკულ კომპონენტებში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სხვადასხვა სექტორებში სტუდენტების მივლინება, სტუდენტთა როტაციის პრინციპით;
7. პროგრამის შემდგომი მოდერნიზებისა და განვითარების პროცესში, რეკომენდებულია დაინერგოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდები, მათ შორის დიდი ყურადღება გამახვილდეს შემთხვევის ანალიზისა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ვიდეო-რგოლებისა და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოების გამოყენებით, რაც შესაბამისობაში იქნება კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და შეფასების მიღვომებთან;
8. სასურველია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის გაზრდა, რათა სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს;
9. დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების შესაბამისი პერსონალის ჩართვა პროგრამაში, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებს პროგრამის მოდერნიზებას და სხვადასხვა კურსების დამატებას;
10. პროგრამის განხორციელებაში ჩართოს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
11. განხორციელდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის ტრენინგები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები) კურსის სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობის, საერთაშორისო ბაზებში პერსონალის ინტეგრირების, კვლევით პროექტებში ჩართვისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
12. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდაჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCACიკლის გამოყენებით;
13. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;
14. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყავით ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, რაც გააუმჯობესებს თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს;
15. სასურველია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში გამოყენებული სიტყვა „პროპაგანდა“, რომელიც ტერმინოლოგიურად განიმარტება, როგორც „პროპაგანდა (ლათ. propaganda, გავრცელების ქვემდებარე) — ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატიური გავრცელება. ემსახურება საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას“, ჩანაცვლდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებული საერთაშორისო ტერმინებით: ინსტრუქტაჟი, სწავლება, ტრენინგი და ა.შ.;

16. საურველია დაწესებულებამ, მოცემული პროგრამის ფარგლებში დანერგოს სხვადასხვა სფეროს ე.წ. „გესტსპიკერების“ მიწვევა, როგორც წარმოებისა და ბიზნესის, ასევე საჯარო სამსახურების მხრიდან, რომელიც განხორციელდება გარკვეული პერიოდულობით;
17. სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით გააცნონ სტუდენტებს დარგის სიახლეები;
18. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სადოქტორო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ასევე მე-2 სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოილო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

1. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
2. მოდერნიზდეს #2 და #3 სწავლის შედეგები ნათელი და მიღწევადი ფორმულირებით, რომელიც გაითვალიწინებს კვალიფიკაციების ჩარჩოს VIII საფეხურის აღმწერს;
3. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებაში;
4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
5. შემუშავდეს პროგრამაზე მიღებისათვის წარმოსადგენი კვლევითი პროექტის მცირე ინსტრუქცია და/ან ნათლად გაწერილი მოთხოვნები, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი აპლიკაციებისათვის;
6. რეკომენდირებულია გადახედილ იქნეს პროგრამის სტრუქტურა და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან;
7. გადამუშავდეს სასწავლო კურსები „რისკის კონტექსტები და უსაფრთხოების მენეჯმენტი“ და „უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიური ფაქტორები“ კურსის დასახელება, სწავლის შედეგები და შინაარსი მოდერნიზდეს სადოქტორო პროგრამისა და მერვე საფეხურის აღმწერის შესაბამისად. კურსში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს რისკის ანალიზს, რომელიც შეასწავლის დოქტორანტს რისკის შეფასებას, მართვას და კომუნიკაციას;
8. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „სიცოცხლის უსაფრთხოება“ კურსის მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის რევიზირებით, პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დეტალური სფეროს აღწერის გათვალისწინებით. ამ კურსის ფარგლებში შეუძლებელია სტუდენტმა შეძლოს სამაშველო სამუშაოების წარმოების ორგანიზაცია და ავარიების ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა (კურსის მიზნები), ასევე კომისიების და მაშველთა სისტემების ორგანიზება, მართვა და კონტროლი;
9. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „სიცოცხლის უსაფრთხოება“, სწავლის შედეგები წარმოდგეს კომპლექსური ფორმულირებითა და რეალურად მიღწევადობის მიმართებით, სასწავლო კურსის შინაარსთან კავშირში;
10. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები პროფესიულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის პოლიტიკაში“ მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების სადოქტორო პროგრამის შესაბამისი დონით სწავლება;
11. განახლდეს სასწავლო კურსების მირითადი ლიტერატურა ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურით;
12. შემუშავდეს და პროგრამის განუყოფელ ნაწილად წარმოდგეს სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია, სადაც წარმოდგენილი იქნება კვლევითი კომპონენტის უფრო დაწვრილებითი აღწერა, რაც გაზრდის დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას;
13. გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი აქტივობები პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ფორმატის ფარგლებში;
14. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა ასახავდეს დარგის უახლეს მიღწევებს;
15. სასწავლო კურსები გადამუშავდეს შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების სადოქტორო საფეხურის სწავლის შედეგების (მაგ. სტუდენტის მიერ ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირება, კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და სხვა)

გათვალისწინებით და შესაბამისი კომპლექსური დავალებების შესრულების მოთხოვნების (ვადები, ფორმა, შინაარსი, სტანდარტი და სხვა) ასახვის გზით;

16. გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების კონსულტირებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, კვლევის პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესებში;

17. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასება PDCA-ციკლის გამოყენებით;

18. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;

19. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული მეთოდოლოგისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;

20. გაუმჯობესდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პერსონალის გამოვითხვის კითხვარები. საჭიროა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპონდენტის რეალურ განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადექვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მიეთითოს კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი.

რჩევები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება დაეყრდნოს ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებასა და საფუძვლიან ანალიზს, მათ შორის სასწავლო კურსების დასახელებების ფორმირების მხრივ.
2. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
3. პროგრამის სასწავლო კურსებში უფრო მეტი სიხშირით, ეფექტურად და ეფექტიანად იქნას გამოყენებული სწავლების თანამედროვე მიდგომები - შემთხვევის განხილვა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
4. განხორციელდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის ტრენინგები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები) საერთაშორისო ბაზებში მათი ინტეგრირების, კვლევით პროექტებში ჩართვისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.
5. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის 11 პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCA-ციკლის გამოყენებით;
6. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის ახალგაზრდა კადრების მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებები, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის იმ კურსდამთავრებულებისათვის, რომლებიც დარგობრივ დეპარტამენტზე მუშაობენ;

7. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყავით ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, რაც გააუმჯობესებს თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს;
8. სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენეთ როგორც უცხოელი პროფესურისა და მკვლევარების მოწვევა, ისე სხვადასხვა სფეროს ე.წ. „გესტაპიკერების“ მოწვევა, როგორც წარმოებისა და ბიზნესის, ასევე საჯარო სამსახურების მხრიდან;
9. პროგრამის განხორციელებაში კარგი პრაქტიკაა, როცა სტუდენტებს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელად ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება. ამ შემთხვევაში, სასურველია უნივერსიტეტის (მათ შორის კვლევითი ინსტიტუტების) ადამიანური რესურსების კონსოლიდაცია;
10. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და წელიწადნახევარში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და წელიწადნახევარში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოსდაცვითი ინჟინერია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის N420 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0171, მ. კოსტავას ქ., N 69 სასწავლო კორპუსი № 2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მექანიზმი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოსდაცვითი ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N489 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო ეკოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გარემოს ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	

საქართველო, ქ. თბილისი,
0171, მ. კოსტავას ქ., N 69
სასწავლო კორპუსი № 2

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
----	--	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და ორივე პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ პკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომა დატოვა თეონა მატარიძემ

საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა (გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა გუნდურობის პრინციპით და თითოეულმა წევრის შრომა ფასადუდებელია. ასევე მადლობა გადაუხადა დაწესებულებას, ვიზიტის ფარგლებში სამუშაო გარემოს შექმნისთვისა და მოსაზრებების გაზიარებისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ მოცემულ პროგრამასთან მიმართებით 10 წლიანი აკრედიტაციის პერიოდში განახორციელა ბევრი განმავითრებელი პროცესი, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული მოსაზრებები, პროგრამის შემდგომი განვითრებისათვის. მისი თქმით სწავლის შედეგების ფორმულირება და კომპლექსური სწავლის შედეგების წარმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამისათვის, იმისათვის, რომ თავად პროგრამის განმახორციელებლებმა და ბენეფიციარებმა კარგად გაიაზრონ რა ხდება პროგრამაში სწავლის შედეგების კუთხით. მისი თქმით, #3 სწავლის შედეგში „ეუფლება გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგის განსახორციელებლად ატმოსფერული

ჰაერის, წყლისა და ნიადაგის კონტროლთან დაკავშირებულ, ასევე გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების საკითხებს“, სიტყვა „ეუფლება“, არ ნიშნავს დასრულებულ სწავლის შედეგს და იწვევს გარკვეულ დაბნეულობას. ასევე სასწავლო კურსი „ზოგადი პროცესები და აპარატები“, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სავალდებულო სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. არის ასევე სასწავლო კურსი, რომელიც საფაკულტეტო დონეზე ჩაისვა როგორც არჩევითი კურსი, მაგალითად ამ ფაკულტეტზე იყო ქიმიური და ბილოგიური ინჟინერიის საბაკალვრო პროგრამა, სადაც საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები ფილოსოფიის საფუძვლების არჩევით კურსთან დაკავშირებით და ალაბათ ამ პროგრამაზეც იგივენაირად გაიზიარებს საბჭო ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს, რომ უკეთესია საქართველოს ისტორიის, ფსიქოლოგიის თუ სხვა სასწავლო კურსებთან ერთად არჩევით კურსად შეთავაზებული იყოს ფილოსოფიის საფუძლები. გარკვეულწილად ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების პოზიცია და მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც გარკვეული რეკომენდაციები სხვაგვარად ჩამოყალიბდა. ასევე არსებობს რეკომენდაციები პრაქტიკული უნარების განმავითარებელ აქტივობებთან, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. უცხოენების კურსების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ დაწვრილებით გაიარეს აღნიშნული პროგრამა და დაწესებულებას გაუზიარეს ის რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიიჩნიეს პროგრამის შემგდომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომაგდენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ ჯგუფმა გაწია დიდი სამუშაო და შეიმუშავეს ისეთი რეკომენდაციები რომლებიც დაეხმარება დაწესებულებას პროგრამის განვითარებაში. თუმცა არის ისეთი რეკომენდაციები, რომელთან მიმართებითაც დაწესებულებას თავისი პოზიცია გააჩნია. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისთვის, რომელიც წარმოდგენილია სამი დოკუმენტის სახით: სწავლის შედეგების შემოწმების მექანიზმი, სწავლის შედეგების შემოწმების გეგმა და სწავლის შედეგების შესრულების გეგმა. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია, მაგრამ სხვადასხვა დოკუმენტებში. შემდეგი რეკომენდაცია, რომელსაც არ ეთანხმება დაწესებულება არის, რეკომენდაცია სწავლის შედეგების უფრო გამართულად ფორმულირების თაობაზე, საუბარია ერთ-ერთ სწავლის შედეგზე, რომელიც იწყება სიტყვა „ეუფლება“-თი. აქ შესაძლებელია ქართული ზმნის თავისებურებებზე საუბარი, რადგან ეს სასწავლო შედეგები არის ცოდნისა და გაცნობის კატეგორიებში და ანალოგიურად სხვა ზმნებზეც შეიძლება ითქვას რომ არის არა დასრულებული, არამედ პროცესი. ამ ზმნის თავისებურებიდან გამომდინარე, მეტად შეიძლება ვიგულისმოთ, რომ აღნიშვნავს პროცესს, ამიტომ შემოთავაზებული ცვლილება, „ეუფლება“ რომელიც შეიძლება ჩანაცვლდეს სიტყვით - „ახორციელებს“, ეს უკვე გადავა უნარის კატეგორიაში.

რაც შეეხება ზოგიერთ საგანს, რომელზეც აღნიშნა რომ სასურველია იყოს სავალდებულო, მაგალითად „ზოგადი პროცესები და აპარატები“, დაწესებულებას აქვს კონკრეტული, ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებული პროცესები და აპარატები, რომლებიც განაწილებულია სხვადასხვა საგანში, ამ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგადი პროცესები და აპარატები არის არჩევით საგნად განსაზღვრული. შესაბამისად ინსტიტუციამ ჩათვალა, რომ უნარები, რაც პროცესებთან და აპარატთან არის დაკავშირებული სხვა კონკრეტული სასწავლო კურსების მეშვეობით მიიღწევა. რაც შეეხება იგივე ფილოსოფიის

საკითხს, ინსტიტუციამ ჩათვალა, რომ ისეთი სასწავლო კურსები როგორიც არის მათემატიკა და ფილოსოფია განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება და გასაგებია, რომ ფილოსოფია განსაზღვრავს წესს და ექსპერტთა ჯგუფმა ამიტომ მიიჩნია ასე. რაც შეეხება ტერმინოლოგიასთნ დაკავშირებულ რეკომენდაციებს, ეს წარმოადგენს პრიფესიული მსჯელობის საგანს და ამასთნ დაკავშირებით ისაუბრებს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც უფრო არგუმენტირეულად განმარტავს აღნიშნულს. ასევე არის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც საჭიროა გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა სხვადასხვა აქტივობების, სწავლის მეთოდების გაძლიერების მიზნით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც 2021 წლს განახორციელა უნივერსიტეტის ბუნებრივია, ეს ვერ მოხდებოდა წარმოდგენილ ანალიზში, მაგრამ ამ მხრივ უნივერსიტეტი არ იშურებს ძალისხმევას, ზრუნავს აკადემიური პერსონალის თითოეული წარმომადგენლის განვითარებაზე.

პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაწერილი აქვთ პროგრამის მონიტორინგის ციკლი და მიყვებიან მას. საბაკალავრო პროგრამისთვის ეს არის 3 წლიანი ციკლი. ახორცილებენ ყველა მიმართულებით შედეგების ანალიზს, შემდეგ კი უკვე დგება პროგრამის მოდიფიცირების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს შრომის ბაზრის ანალიზი. 4 რესპოდენტის გამოვითვა არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც შრომის ბაზრის ანალიზი და ეს იყოს გამოყენებული ორივე საფეხურისათვის (ბაკლავრიატი და მაგისტრატურა). რაც შეეხება ბიუჯეტს, აღნიშნული 21% საკმარისია თუ არა პროგრამის განვითარებისათვის? რაც შეეხება შინაარსობრივ საკითხებს, მაგალითად კურსი „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“. ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მსგავსი კურსი მომველებული ხომ არ არის. თვლის, რომ წარმოუდგენელია სხვადასხვა შინაარსის მქონე საკითხის გაერთიანება და ეს კურსი აუცილებად უნდა შეიცვალოს. არ შეიძლება ერთი სასწავლო კურსი იყოს მენეჯმენტი და მარკეტინგი. რაც შეეხება, მაგალითად „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკას“, ამ შემთვევაში რატომ არის წინაპირობა „გამოყენებითი ინფორმატიკა“, მაშინ როდესაც დაწესებულებას აქვს კურსი - „ეკონომიკის პრინციპები“, რომელიც ისწავლება 1 სემესტრში, წიგნით „მენქიუ“, რომელსაც საქართველოს სხვა ინსტიტუციები ასწავლიან 2 სემესტრი და აღნიშნულთან დაკავშირებითაც ლექტორები ამბობენ, რომ 2 სემესტრი არ არის საკმარისი მაკრო და მიკრო ეკონომიკის შესასწავლად. აქედან გამომდინარე ეს აუცილებლად იქნება დასაზუსტებელი, შესაძლებელია თუკი დაწესებულებას უნდა 1 სემესტრში მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის გავლა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს წიგნი, რადგან მისი მოცულობიდან გამომდინარე სტუდენტს გაუჭირდება მასალის ათვისება.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 4.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ამოცანების ასახვას პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის. ის დაინტერესდა, რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქვე-სტანდარტში შეფასება არის ნაწილობრივი?

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ „მენეჯმენტის და მარკეტინგის“ კურსთან დაკავშირებით ეთანხმება საბჭოს წევრის, გიორგი ღალანიძის პოზიციას. მისი თქმით, აღნიშნულ პროგრამაში ასევე ჩადებულია შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი, აქაც დაწესებულებამ ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც წინა პროგრამის შემთვევაში, რომ შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტზე არ არის საუბარი, არამედ, ვსაუბრობთ მძიმე ტექნიკის მართვაზე. ასევე, წინა საბაკალავრო პროგრამაში საწარმოო სანიტარიას, ერგონომიკას და შრომის ჰიგიენას განვიხილავდით ცალცალკე კურსად. ამ პროგრამის შემთვევაში კი სამივე კურსი გაერთიანებულია და წარმოდგენილია ერთ კურსად. წინა პროგრამის შემთვევაში იყო

საკითხების დუბლიერბა და ამ შემთვევაში დალაგებულია, თუმცა ამ კურსს არ აქვს წინაპირობა განსაზღვრული. ის დაინტერესდა რა პრინციპით არის ეს კურსები გაერთიანებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტი 2.2 თან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თითქოს აღწერილობიდან გამომდინარე სტრუქტურაში და შინაარსში ყველაფერი რიგზეა და რეკომენდაციები რომელიც ამ აღწერილობით ნაწილს ერთვის, ეხება სასწავლო კურსის გადანაცვლებას სავალდებულოდან არჩევითში და პირიქით. რეკომენდაციები ეხება ერთ-ერთი კურსისთვის სავალდებულო სტატუსის მინიჭებას, ასევე ტერმინოლოგიის შეცვლას. მეოთხე რეკომენდაცია აღწერს, რომ კურსები უნდა გადანაწილდეს უცხოური ანალოგი პროგრამის გამიცდილების გაზრიარებით, და საბოლოოდ შეფასება მიღებულია აქვს ნაწილობრივ შესაბამისობაში. ის დაინტერესდა ნაწილობრივი შეფასება ტექნიკური ხარვეზით ხო არ იყო განპირობებული.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ, კითხვით მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს, ნარჩენი წყლების თემა დაფარული არის თუ არა სილაბუსით და მათ შორის, საინჟინრო გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას, გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ არის ლაბორატორიები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. ასევე აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის ინჟინერია ისეთი მიმართულებაა სადაც ლაბორატორიული ბაზა, შესაბამის საინჟინრო ხელსაწყოები და კვლევითი ინფრასტრუქტურა ძალიან მნშვნელოვანია. დასკვნაშიც არის აღნიშნული, რომ ლაბორატორიული ბაზა და აპარატურა საჭიროებს განახლებას, მოძველებულია და რიგ შემთვევაში გამოსულია მწყობრიდან. სწავლის შედეგებზე გასვლისთვის მნიშვნელოვანია ამ ბაზის აღდგენა, განახლება, გაუმჯობესება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროგრამას აქვს გარკვეული კავშირები ბიზნეს სექტორთან, პრაქტიკის ბაზებთან, გარემოს ეროვნული სააგენტოს სამსახურებთან, რომლის შესაძლებლობებსაც იყენებს, მაგრამ დაწესებულების სივრცეში, ლაბორატორიული ბაზა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. აღნიშნული საკითი დაწესებულებას გასაუმჯობესებელ მხარეშიც აქვს წარმოდგენილი. დაწესებულებას ერთადერთ გასუმჯობესებელ მხარედ პროგრამაში იდენტიფიცირებული აქვს მეოთხე სტანდარტის ფარგლებში, ამიტომ ამ გასაუმჯობესებელი მხარეების კუთხით პროგრამას უნდა გააჩნდეს გეგმა, რომელიც უნდა იყოს მწყობრი, თანაბარი, გარკვეული წილი ხედვებით თუ რა როდის უნდა გაუმჯობესდეს და რა შესაძლებლობის და ბიუჯეტის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, 2.2 კომპონენტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელზეც საბჭოს წევრმა აღნიშნა რომ, თთქოს არ ჩანს რეკომენდაციების ისეთი მნიშვნელოვანი შინაარსი, რომელიც ნაწილობრივ შეფასებაზე გადის, ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გამოწვეული იმ მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან, რაც ასევე არის ასახული აღნიშნული კომპონენტის აღწერაში. ეს არის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებისათვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება, ისეთი კურსებისათვის რომელზეც ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ გარემოს დაცვის ინჟინერიისათვის მნიშნელოვანია.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს უპასუხა, რომ პროგრამას აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთა ბაზებითაც სარგებლობენ ინსტიტუციის სტუდენტები და შესაბამისად ეს თანამშრომლობა დაწესებულებას აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანად არის მიღწევადი და სტუდენტები იღებენ იმ ცოდნასა და უნარს, რაც აუცილებელია კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა რომ ისინი არსად არ წერენ, რომ ვერ უზრუნველყოფს, განმარტებულია რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფს. ინსტიტუციის წარმომადგენელი, საბჭოს წევრის, გიორგი ღალაბიძის მიერ შრომის ბაზართან და

ბიუჯეტთან დაკავშირებულ მოსაზრებას დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იმუშავებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხები სათანადო სახით იყოს წარმოდგენილი. ხოლო რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ”მენეჯმენტი და მარკეტინგი“, „ეკონომიკის პრინციპები“ ეს სასწავლო კურსები არის თავისუფალი კომპონენტების სახით წარმოდგენილი, მათი სწავლის შედეგები არ მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში, ამიტომ ეს სასწავლო კურსები მოწოდებულია იმისათის, რომ სტუდენტმა თავისი არჩევანის შესაბამისად გაიფართოვს თვალსაწიერი, ამიტომ ასეთი სახით არის წარმოდგენილი და ვერ იქონიებს გავლენას პროგრამის სწავლის შედეგებზე. ეს ასევე შეეხება ისეთ საგნებს, როგორიც არის „შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი“, „საწარმოო სანიტარია, ერგონომიკა და შრომის ჰიგიენა“. ისინი ამ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის წარმოადგენენ თავისუფალ კომპონენტებს. წინა პროგრამისთვის იყო ძირითადი სასწავლო კურსები, თუმცა სხვადასხვა დატვირთავა აქვს და ამით არის გამოწვევეული სანიტარიის, ერგონომიკისა და ჰიგიენის გაერთიანება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ წინა პროგრამაში „შრომის უსაფრთოების მენეჯმენტი“ სასწავლო კურსის სახით რომ იყო, წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა „მათემატიკური ანალიზის ელემენტები“, ახლა განსახიილველ პროგრამაში კი სილაბუსი იგივე დევს. აქედან გამომიდნარე, იბადება კითხვა თუ წინა პროგრამაში აღნიშნულ სასწავლო კურსს სჭირდებოდა წინაპირობა, მეორე პროგრამაში აღარ სჭირდება? ხოლო მეორე კითხვა „საწარმოო სანიტარია ერგონომიკა და ჰიგიენა“ წინა პროგრამაში 3 ცალკე სილაბუსად იყო წარმოდგენილი და მათ შორის შრომის ჰიგიენის წინაპირობად წარმოდგენილი იყო „ზოგადი ჸიმიაა“, რაც გამომდინარეობდა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან. აქ სამივე კურსში სილაბუსები გადმოტანილი არის წინა პროგრამიდან ისე, რომ საკითხები გამსხვილებულია და წინაპირობები აღარ აქვს. აქედან გამომინარე იბადება კითხვა თუ წინა პროგრამაში სტუდენტს მავნე ნივთიერებები ჸიმიით უნდა ესწავლა ამ კურსში ეს აღარ ჭირდება?

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ როგორც წესი დაშვების წინაპირობა არ აქვს თავისუფალ კომპონენტს, თუმცა ეს კონკრეტული სხვა შემთვევაა, ამიტომ სტუდენტი სანამ მივა ამ კონკრეტული კურსის არჩევამდე, დიდი ოდენობით უნდა ისწვალოს ჸიმია, შესაბამისად, მას აქვს წინსწრებად მიღებული ის ცოდნა რაც აღნიშნულ სასწავლო კურსს ჭირდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სილაბუსებს შორის მეტი სხვაობა უნდა იყოს. რაც შეეხება წყლის საკითხებს, რასაკვირევლია განხილულია, ეს არის სხვადასხვა, რამდენიმე სასწავლო კურსი, სადაც არის ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის ჩამდინარე წყლების, შემოწმების ტექნიკა, მეთოდები და ეს ყველაფერი რამდენიმე სასწავლო კურსში არის განხილული, როგორც ლაბორატორიული მეცანიერების, ასევე თეორიული მეცანიერების სახით.

საბჭოს წევრმა ნინო ინასარიძემ განმარტა, რომ მისი მოსაზრებით გარემოს დაცვის ინჟინერია უნდა ფლობდეს გარემოს ძირითად კომპონენტებს წყალი, ნიადაგი, ჰაერი. ამ სამ კომპონენტთან მიმართებაში დაწესებულების კურსდამთავრებული იღებს იმ საბაზისო ცოდნას, რომ გარემოსდაცვის ინჟინრად იმუშაოს? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ არსებობდა ასევე ასეთი სასწავლო კურსი „სამრეწველო, ჩამდინარე წყლების კონტროლი და გაწმენდა“, რომელიც უშუალოდ შეეხება ამ ჩამდინარე წყლებს, ბაკალავრის საფეხურზე და წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს, ასევე არის „ჰიდროსფეროსა და ნიადაგის დაცვის ტექნიკა“, „ზედაპირული წყლების დაცვის ანალიზის მეთოდები და საშუალებები სასწავლო პრაქტიკით“, „ჰიდროსფეროსა და ნიადაგის დაცვის ფიზიკურ-ჰიმიური მეთოდები“ აქედან გამომდინარე წყლის თემა მრავალმხრივ არის შესწავლილი.

ესპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ დაამატა განმარტება „საწარმოო სანიტარია ერგონომიკა და ჰიგიენასთან“ დაკავშირებით, რომ პროგრამაში არის ერთერთი

სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლება მეორე კურსზე სახელწოდებით „საინჟინრო უსაფრთხოება“, რომელიც განიხილავს ამ საკითხებს, იმ თემებთან მიმართებაში რაც საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა ჩამოთავალა.

საბჭო გადავიდა მექქვსე საკითხის განხილვაზე

მექქვსე საკითხის ზეპირი მოსმენა (გარემოსდაცვითი ინჟინერის სამაგისტრო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით უფრო მწვავე არის დასკვნა და რეკომენდაციები. ძირითადი პრობლემები, რომელიც დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა, იყო 2.2; 2.3; და 2.4; კომპონენტებში, რეკომენდაციები ეხება პროგრამის სტრუქტურასა და მისი შინაარისის გაძლიერებას, ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონესთან კავშირს და დარგობრივი სფეროს ანალოგის პროგრამებთან ანალიზს; ასევე სტრუქტურისა და შინაარისის განახლების პროცესში კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობას, რაც ვიზიტის დროს ნაკლებად გამოიკვეთა. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გარკვეულწილად იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას, რომელიც წინა პროგრამების განხილვის დროს გამოიკვეთა, თუმცა როგორც მან აღნიშნა, დამაბნეველია როდესაც ვებგვერდზე, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით 2019 წლის დოკუმენტი გხვდება მაშინ, როდესაც მიღებულია 2020 წლის. აქედან გამომდინარე, ექსპერტებისათვის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმოადგენდა სანდო წყაროს. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს უკან მიაქვს მე-12 რეკომენდაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამგისტრო დონეზე პროგრამა ისე არის აგებული რომ ფაქტიურად არ სრულდება ლაბორატორიული სამშაოები. ასევე, პროგრამა არ იხილავს იმ მიმართებებს რაც დეტალური სფეროს ქვეშ არის წარმოდგენილი. აქედან გამომიდნარე ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სამგისტრო პროგრამა, უფრო მეტად უნდა წავიდეს დარგობრივი და დეტალური სფეროს მიხედვით. რაც შეეხება 2.3 კომპონენტს, სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია გარკვეული რეკომენდაციები. მაგალითად არის შემთხვევა, როდესაც სწავლის შედეგი ისეა ჩამოყალიბებული რომ სტუდენტი იხსენებს ჰიდროსფეროს დაცვისათვის გარკვეულ საინჟინრო გადაწყვეტილებებს, ან იმეორებს სამრეწველო აეროზოლების შემადგენელ ნაწილებს. საფეხურის შესაბამისად სწავლის შედეგები სხვაგავრად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ასევე სასწავლო კურსებში არის ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც არ დასტურდება სასწავლო კურსებით, მაგალითად ასეთი არის „აფასებს ბირთვული იარაღის გამოცდის რადიოლოგიურ შედეგებს“ თუმცა ეს როგორ მიიღწევა გაუგებარია. აქედან გამომდინარე საფუძლიანად არის გადასახედი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და მათი ფორმულირება შესაბამისობაში უნდა იყოს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მე-7 დონესთან. რაც შეეხება 2.4. კომპონენტს რომელიც შეეხება, სამეცნიერო პროგრამის კვლევითი თუ საშემსრულებლო უნარების განვითარებას, მისი თქმით, ინტერესის სფერო არის სწორედ პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსების გაზრდა. რაც შეეხება 4.3 კომპონენტს, საჭიროა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განვითარება და გაუმჯობესება.

საბჭოს თავჯმჯდომარე, ნათია ზედგინიმე დაინტერესდა, ტერმინოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხს, რამდენად შეიძლებოდა რეკომენდაციის სახე ჰქონდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ ტერმინოლოგიასთან დაკაშრიებით აღნიშნა, რომ საუბარია ისეთ მოძველებულ ტერმინოლოგიაზე, რომელიც უკვე აღარ გამოიყენება პრაქტიკაში. მისი თქმით „ეკოლოგიური ექსპერტიზასთან“ დაკავშირებული კანონი ძალადაკარგულია 2018 წლიდან და შემოსულია „ეკოლოგიური გარემოს დაცვითი შეფასება“, ასევე არის გარემოსდაცვითი ნებართის შესახებ კანონი, რომელსაც პროგრამა ასწავლის და ძალადაკარგულია 2008 წლიდან, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და

დებულება გარკვეულწილად ძალადაკარგულია 2013 წლიდან. სწორედ აქედან გამომდინარე წარმოიშვა რეკომენდაცია რომ უნდა განახლდეს ლიტერატურა, ტერმინოლოგია და მიდგომები.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, კონსტანტინე ხაჭაპურიძემ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით დაამატა რომ, როდესაც გასაუბრებაზე მიდის კურსდამთავრებული, დამსაქმებელი მას ესაუბრება ახალი ტერმინოლოგიით, ამ შემთხვევაში სტუდენტი ვერ გაიგებს კითხვის შინაარსს, რადგან მას ნასწავლი აქვს ძველი ტერმინოლოგიით. სტუდენტს შეიძლება შინაარსობრივად ბევრი რამ კარგად ქონდეს ნასწავლი, მაგრამ ამ ტერმინოლოგიის გამო ვერ დასაქმდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ძალიან დეტალურად განიხილეს პროგრამა და ეს ძალიან კარგია დაწესებულებისთვის. ის რომ დაწესებულება საკითხებს ეთანხმება და იზიარებს მათ, არ ნიშნავს რომ პროგრამა, ცალკე აღებული არის ცუდი, რადგან მათ შეუძლიათ შინაარსობრივ დავაში შემოვიდნენ და ის დარწმუნებულია რომ უნივერსიტეტის პოზიციები საკმაოდ მძლავრად იქნება წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო საზღვარგარეთ საერთაშორისო ჟურნალებში და სამეცნიერო ნაშრომებში გამოქვეყნებული სტატიბს. მისი თქმით, სტატიებში არის მოძლებული მასალა, იწყება დაახლოებით 2012-2013 წლის მასალიდან და სულ არის 10 სტატია. ის დაინტერესდა რამდენად არის საკმარისი 10 საერთაშორისო გამოქვეყნება სამაგისტრო პროგრამის პროფესორისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა სილაბუსთან „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ სილაბუსში მიზნები და შედეგები ნამდვილად დიადია, თუმცა სილაბუსის შინაარსი ამ სწავლის შედგებზე გასვლის შესაძლებლობას არ იძლევა. ამ სილაბუს არ აქვს წინაპირობა, სადაც სტუდენტმა უნდა ისწავლოს რა არის მენეჯმენტი და შემდეგ, ინოვაციური მენეჯმენტი. ასევე ეკოლოგიური მენეჯმენტი არის მესამე სასწავლო კურსის საწარმოთა ეკოლოგიური მენეჯმენტის წინაპირობად. აქაც ძალიან მძიმე სურათია, რადგან საწარმოთა ეკოლოგიური მენეჯმენტი ისწავალება მენეჯმენტის საფუძვლებით და ისეთი ლიტერატურა არის მითითებული, რომელიც ნაკლებად რელევანტურია ამ სასწავლო კურსისთვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლალანიძემ განმარტა, რომ საბჭოს წევრის ეკატერინე ნაცვლიშვილის მიერ ნახსენები ბლოკი მთლიანად უნდა შეიცვალოს, რადგან არეულია როგორც დასახელებები, ასევე წინაპირობები, სახელმძღვანელოები, თანმიმდევრობა. მოყვანილია მენეჯმენტის საფუძვლების ერთ-ერთი ქართული სახელმძღვანელო, რომელიც არის ბაკალავრიატისათვის. მან აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის პროგრამაზე ეკონომიკის პრინციპები არის მხოლოდ არჩევითი, დანარჩენი კი, „ბუნებათ სარგებლობა და ეკონომიკა“, „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ არ წერია არჩევით საგნებში და თუკი ეს სავალდებულოა აუცილებლად უნდა გასწორდეს. ისვე როგორ სამაგისტრო პროგრამაში მენეჯმენტის ბლოკი.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ გამოთქვა მოსაზრება, „სამეწარმეო ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტთან“ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა საბჭოს წევრებს დაწესებულებისთვის შეეთავაზებინათ მაგისტრატურის დონეზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის კარგად მომზადებული საერთაშორისო პროგრამების სასწავლო კურსები, მაგალითად ისეთი როგორიც არის ინოვაციები, ასევე „ინოვაციები და მეწარმეობა“, „მეწარმეობის საფუძვლები“. სტუდენტისთვის უფრო შედეგიანი იქნება, ინოვაციებში გააკეთოს რაღაც, ვიდრე ინოვაციათა მენეჯმენტი ჩაატაროს. მისი მეორე კითხვა

ეხებოდა დაშვების წინაპირობებს, მისი თქმით, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს შემდეგი სფეროებიდან: 06, 07 და სხვა სფეროები. შესაბამისად ის დაინტერესდა, მშენებლობის სფეროდან რომ მოვიდეს სტუდენტი შემლებს თუ არა პროგრამის დაძლევას.

ინსტიტუციის წარმოამდგენელმა, აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან საბჭოს წევრის, გიორგი ლალანიძის მოსაზრებას სილაბუსთან დაკავშრებით და გაითვალისწინებენ. რაც შეეხება, კონკრეტული სასწავლო კურსის წინაპირობას, აღნიშნული სასწავლო კურსი პირველ სემესტრში ისწავლება და შესაბამისად წინაპირობა ვერ ექნება. რაც შეეხება სხვა მენეჯმენტებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მიიჩნევს, რომ ეს მენეჯმენტი ეკოლოგიის კუთხით არის და რედაქცია ჩამოყალიბდა მსჯელობის შედეგად. დაწესებულება გააგრძელებს პროგრამის განვითრებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია მაგისტრატურა წარმოადგენს პროფესიის შეცვლის ერთ-ერთ საშუალებას, სხვა სფეროებიდან მოსულ სტუდენტს ბუნებრივია დასჭირდება უფრო მეტი მუშაობა. ლაბორატორიულ მეცადინეობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო თემაზე, რომელიც აუცილებლად მოიცავს კვლევას, კვლევა კი დაკაშირებულია ექსპერიმენტების ჩატარებასთან და ლაბორატორიულ მეცადინეობასთან. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პროგრამა შედგენილია კოლექტიური მუშაობის შედეგად, პროგრამა მუდმივად განიცდის განვითარებას და ცვლილებებს, მათ გაწერილი აქვთ 2 წლიანი ციკლი, განიხილება ყველანაირი რეკომენდაცია და შემოთავაზება. დღევანდელი რედაქციით პროგრამა ჩამოყალიბებულია, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციითა და მათი აზრის გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 10 უცხოური სტატია ნამდვილად არ არის საკმარისი, თუმცა, ადგილობრივი ნაშრომები რაც არის წარმოდგენილი საკმაოდ მაღლი დონის და მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობისაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მამუკა მაისურაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის საკითხები არ იყო წინა პროგრამაში, მათ პრაქტიკა დაამატეს დაინტერესებული მხარეების, კურსადმთავრებულების, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება გააგრძელებს პროგრამის მონიტორინგს და აუცილებლობის შემთვევაში გაზრდის ამ კომპონენტს. დაწესებულებას აქვს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები და ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უშუალოდ ამ ფაკულტეტთან მიმართებით მიმდინარეობს განმავითარებელი პროცესები. ზოგადად მდგომარეობა არის ასეთი, რომ ფინანსური უზრუნველყოფა განსაკუთრებით ბოლო წელთან მიმართებაში ძალიან გაჭირვებულია, დაახლობით სტუდენტების 30% გადახდისუუნაროა. ხარისხის მართვის მიმართულებით, პრაქტიკულად არსებული შედეგები იგივეა, რაც პროგრამულ ხარვეზებთან მიმართებაში. თუნდაც შრომის ბაზრის კვლევა დოკუმენტური კუთხით რა თქმა უნდა აფიქრებინებდა ექსპერტებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით არსებობს პრობლემები. თუმცა მიმდინარეობს პროცესები, იყენებენ ყველანაირ ღირებულ ინსტრუმენტს და შეფსების ციკლს. დღეს ეს პროცესი მიმდინარეობს სრული დატვირთვით.

საჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელობს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, თუმცა მიესალმება მცდელობას ხარისხის მართვი სისსტემის გაუმჯობესების თაობაზე.

დაწესებულებს წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ის თუ რა სწავლის შედეგებზე გადის სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკაში. დანართში, რომელშიც მითითებულია სწავლის შედეგებისა და კურსების მიმართება, გაწერილია ის სწავლის შედეგები, რომელზეც გადის სამაგისტრო ნაშრომი. ხოლო ის თუ როგორ უნდა იყოს ნაშრომის ჩამოყალიბების და გაფორმების წესი, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში. სამაგისტრო ნაშრომის

შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ უნდა გამოიკვეთოს კვლევის წილი, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასების დროს ყურადღება ექცევა საკვლევი პროცედურების 5 ქულამდე, საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზს 4 ქულამდე, კვლევის მეთოდების გამოყენებას 5 ქულამდე, ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯას 4 ქულამდე და ა.შ ეს კომპონენტები სრულად არის გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტების შეფასებების რიცხვში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:51

დასრულების დრო: 23:02

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (გარემოსდა ცვითი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მე - 3 და მე - 5 სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

1. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის #3 და #5 სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ნათლად, დამდგარი სწავლის შედეგის (და არა სწავლა/სწავლების პროცესის) წარმოდგენით, გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. სავალდებულო სასწავლო კურსი „ფილოსოფიის საფუძვლები“ ჩაერთოს ჰუმანიტარულ არჩევით სასწავლო კურსებში;
4. სასწავლო კურსი „ზოგადი პროცესები და აპარატები“ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგებისათვის და მიენიჭოს მას სავალდებულო სტატუსი
5. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამაში გამოყენებული დარგობრივი ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს და საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებულ სამართლებრივ და სამეცნიერო ტერმინებთან;
6. რეკომენდებულია ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები გადანაწილდეს უცხოური ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებით, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კურსების წილის გაზრდით;
7. სასწავლო კურსების სწავლებაში ძირითად ლიტერატურად დამატებით გამოიყენეთ ეროვნულ დოკუმენტები არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და საკანონმდებლო აქტები, მათი გამოყენება გააუმჯობესებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას;
8. გადაიხედოს კურსი „სამრეწველო ეკოლოგია“, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია სამრეწველო სექტორში ნარჩენების მართვის საკითხებით; კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის დასახელებასთან;

9. სასწავლო კურსში „ზოგადი ეკოლოგია“ გაიზარდოს ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვებისათვის დათმობილი საათები და კურსის სწავლის შედეგებში ასახეთ შესაბამისი კომპეტენციები;
10. საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია სტუდენტები სწავლობდნენ აკადემიური წერის ტექნიკებსა და ციტირების წესებს ან უკვე არსებულ სასწავლო კურსში: „ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიებში“ ან შეთავაზებულ იქნეს დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით;
11. სასწავლო კურსები „სამრეწველო ჩამდინარე წყლების კონტროლი და გაწმენდა“, „ჰიდროსფეროსა და ნიადაგის დაცვის ტექნიკა“ გადამუშავდეს წარმოდგენილი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შინააარსისა და გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობის უზრუნველყოფის მხრივ;
12. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ შეიცვალოს რელევანტური კურსით ან კურსებით;
13. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა“ დაზუსტდეს კურსის წინაპირობა;
14. გადამუშავდეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ინფორმატიკა“ პროგრამის საჭიროებების მიხედვით. პრაქტიკული უნარების მაქსიმალური განვითარების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კურსისათვის გათვლილი საკონტაქტო საათები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ლაბორატორიული პრაქტიკული სამუშაოების (პრაქტიკული სამუშაოების) ფორმატით;
15. რეკომენდებულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას, ამასთან მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული და შეფასების რუბრიკებში ქულების გადანაწილება არ ფარავდეს ერთმანეთს;
16. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის;
17. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ.

რჩევები:

1. უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის;
2. შემუშავდეს მოქმედი პროგრამების ანალოგ პროგრამებთან დადარების პროცედურა და კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის სტუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარებაზე და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენების პრაქტიკის დანერგვაზე;
3. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;
4. რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება, რათა სტუდენტებისათვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს.

5. გაუმჯობესდეს რეკომენდაციების გაცემისა და პრაქტიკაში რეაგირების მექანიზმები სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით გამოვლენილ საკითხებზე;
6. სასურველია შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
7. გამოიყენეთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია გაიწეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში. მათ შორის შესაძლებელია ორიენტირება გაკეთდეს უცხოელი პროფესურის მოწვევაზე 10 საჩვენებელი და ღია ლექციების ჩატარების მიზნით, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი კვლევითი გამოცდილება და მიღწევები;
8. სასურველია უცხო ენების სასწავლო კურსების მიმდინარე შეფასებაში უფრო მეტი წილი დაეთმოს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს - პრეზენტაცია, დისკუსია, ზეპირი გამოვითხვა და ა.შ.;
9. სასურველია, უსდ-მ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
10. დაწესებულებამ დანერგოს ელექტრონული გამოვითხვები, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ფასეულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს (დრო, ქაღალდი, საბეჭდი მოწყობილობის კარტრიჯი და ა.შ), ამასთან გაზრდის კითხვარების რესპონდენტებისათვის ხელმისაწვდომობას;
11. სასწავლო კურსში " ეკონომიკის პრინციპები" დაკორექტირდეს სასწავლო კურსის საათების რაოდენობა კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
12. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსები: "შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი", "საწარმოო სანიტარია, ერგონომიკა და შრომის ჰიგიენა" და დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სახელწოდებასთან;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (გარემოსდა ცვითი ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 3 და მე - 5 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

1. პროგრამის მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ნათლად და გამოყენებული ტერმინოლოგია უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში მიღებულ თანამედროვე ტერმინოლოგიას, რაც ასევე გამოყენებულია საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ საკანონმდებლო დოკუმენტებში;
2. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსური სწავლის შედეგების წარმოდგენით, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან;
3. შეიცვალოს სწავლის შედეგებისათვის გამოყენებული მოძველებული ტერმინოლოგია (რასაც თანამედროვე გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში აღარ იყენებენ) მაგ. „საპროექტო-ეკოლოგიური გამოკვლევა“ - გარემოსდაცვითი შეფასებით;
4. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება 0712 დარგობრივ სფეროზე ორიენტირებით, სადაც ნათლად გამოიკვეთება გარემოს დაცვის ტექნოლოგიის, როგორც საინჟინრო დარგის მიმართება დაბინძურებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, დაბინძურების თავიდან აცილების პროცესების სწავლებაში;
5. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.
6. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
7. შემუშავდეს უცხო ენაში გასაუბრების ფორმატი და შესაბამისი რეგულაცია, რომელიც დაადასტურებს პირის კომპეტენციას B2 დონეზე ან შეიცვალოს გასაუბრება 10 გამოცდით (დაწესებულებას გააჩნია ასეთი გამოცდის ჩატარების მრავალწლიანი პრაქტიკა);
8. პროგრამაზე მისაღები გამოცდის საკითხებში და გამოყენებულ ტესტებში ასახეთ გარემოსდაცვითი ინჟინერიისათვის რელევანტური საკითხები;
9. რეკომენდირებულია მოდიფიცირდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც დაეფუძნება განახლებულ პროგრამის სწავლის შედეგებს (რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან) და დარგობრივი სფეროს შესაბამისი ანალოგი პროგრამების ანალიზს;
10. პროგრამის შინაარსში გაითვალისწინეთ სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო აქტივობები;
11. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამაში გამოყენებული დარგობრივი ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს და საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებულ სამართლებრივ და სამეცნიერო ტერმინებთან;

12. საფუძვლიანად გადაიხედოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ფორმულირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის შესაბამისად, განისაზღვროს მათი მიღწევის გზები კურსის შინაარსის, ფორმატისა და შეფასების მეთოდების მისადაგებით;
13. სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურად აისახოს სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლესი კვლევები მოცემულ სფეროში, მათ შორის უცხოენოვანი ლიტერატურა, ეროვნულ დონეზე არსებული კანონები და ნორმატიული აქტები, ქართულენოვანი ანგარიშები, ეროვნული შეფასებები, კვლევები და შეფასებები, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანია სამაგისტრო დონის სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
14. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების - "სამეწარმეო და ტექნოლოგიური მენეჯმენტი", "ეკოლოგიური მენეჯმენტი" "საწარმოო ეკოლოგიური მენეჯმენტი" შინაარსი და დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, აგრეთვე, ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსების დასახელებასთან, ასევე საგანმანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან;
15. რეკომენდირებულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამაში;
16. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
17. რეკომენდებულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას, ამასთან მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული და შეფასების რუბრიკებში ქულების გადანაწილება არ ფარავდეს ერთმანეთს;
18. უსდ-მ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად დანერგოს შეფასების შედეგების ანალიზის ქმედითი მექანიზმები;
19. რეკომენდებულია საერთაშორისო ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმების გაუმჯობესება (როგორიცაა საერთაშორისო მობილობა, გაცვლითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები);
20. გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის;
21. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისაკენ;
22. უზრუნველყავით შიდა შეფასების მექანიზმების სათანადო გამოყენება და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ) აქტიური ჩართულობა პროგრამის განახლების, განვითარებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესებში.

რჩევები

1. გაუმჯობესდეს პროგრამის მონიტორინგის პროცესი კომპლექსური ანალიზისა და რეკომენდაციების გაცემის მხრივ, მოხდეს გამოვლენილი საკითხების გაზიარება და შემდგომი გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის;
2. სასურველია სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვროს ინოვაციები და მეწარმეობის საკითხები;
3. შემუშავდეს მოქმედი პროგრამების ანალოგ პროგრამებთან დადარების პროცედურა და კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის სტუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარებაზე და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენების პრაქტიკის დანერგვაზე;

4. განხორციელდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერა და ტრენინგები სწავლება-სწავლის თანამდეროვე მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე;
5. უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის;
6. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდაჭერ მექანიზმებს;
7. გააძლიერდეს პროგრამის მიმდინარე საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერა სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;
8. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომი განახლების პროცესში უზრუნველყავით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა და ინფორმირებულობა;
9. შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელიც დაეყრდნობა სტუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესს და სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის ხედვა და მოთხოვნები დარგობრივი სფეროს სწავლის შედეგების მიხედვით;
10. პროგრამის შემდგომი მოდერნიზებისა და განვითარების პროცესში, დაინერგოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდები, მათ შორის ლაბორატორიული მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე 11 დაფუძნებული სწავლება და სხვა, რაც შესაბამისობაში იქნება კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
11. გამოიყენეთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია გაიწეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში. მათ შორის შესაძლებელია ორიენტირება გაკეთდეს უცხოელი პროფესურის მოწვევაზე საჩვენებელი და ღია ლექციების ჩატარების მიზნით, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი კვლევითი გამოცდილება და მიღწევები;
12. სასურველია, უსდ-მ სამაგისტრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტებისთვის დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა;
13. სასურველია, უსდ-მ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
14. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე;
15. დაწესებულებამ დანერგოს ელექტრონული გამოკითხვები, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ფასეულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს (დრო, ქაღალდი, საბეჭდი მოწყობილობის კარტრიჯი და ა.შ), ამასთან გაზრდის კითხვარების რესპონდენტებისათვის ხელმისაწვდომობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N483 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტელეკომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ტელეკომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია 0714
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, გ. ვოსტავას ქ., №77, სასწავლო კორპუსი №8,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამაზ ბიჭიაშვილმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები: „ამოღებულ იქნას პროგრამიდან მე-4 კონცენტრაცია „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა დაგეგმვა და მონიტორინგი“ რადგან მიაჩნიათ, რომ საჭიროა მთელი რესურსები მოხმარდეს პროფესიონალ ინჟინერთა მომზადებას, რადგან საქართველოში ფაქტიურად არც ერთი სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ მუშაობს ამ მიმართულებით. რეკომენდაციასთან დაკაშირებით - „საგნებში „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ და „კვლევის მეთოდოლოგია ტელეკომუნიკაციაში“ მოხდეს შინაარსის გადახედვა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა ტექნოლოგიური ინოვაციების გაძლიერებული კურსით სწავლება, რადგან, ციფრული ტელეკომუნიკაციები ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ამ დარგში არის მუდმივი სიახლეები და უნივერსიტეტის მხრიდან საჭიროებს ხელშეწყობას. ექსპერტის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ საინჟინრო დარგი გამოყენებით დარგეს მიეკუთვნება, კვლევის მეთოდოლოგიაში უნდა ისწავლებოდეს თეორიული, ემპირიული კვლევები, დაკვირვების ჩატარება და ექსპერიმენტი. მსოფლიო მასშტაბით, კვლევაზე დახარჯული თანხის $\frac{3}{4}$ მოდის ექსპერიმენტზე. საჭიროა დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნამრომზე მუშაობის პროცესში. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის (მაგალითად კონსულტაციები) პროცედურები, დაზუსტდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დადგინდეს ერთ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების რიცხვი“, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ეთანხმება, აღნიშული რეკომენდაციის რჩევაში გადატანას. რიგით მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. საჭიროა, ახალგაზრდებმა ისწავლონ სამეცნიერო ბაზებთან მუშაობა, პატენტის გაფორმება. პროგრამის ბიუჯეტში სახსრების გამოყოფასთან და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა მოქმედი მეცნიერების სისტემატიურად მონაწილეობის აუცილებლობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სტუდენტებისათვის სიახლეების გადაცემა. ასევე, მისი თქმით, ურიგო არ იქნება, თუ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის პარტნიორ ორგანიზაციებს წარუდგენს პროგრამას შესაფასებლად, რომლებიც თავის მხრივ მიაწვდიან მათ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ისინი არ ეთანხმებიან კონცენტრაციის ამოღების საკითხს, ვინაიდან ეს არის გამართლებული, საკმაოდ წარმატებული, მოთხოვნადი და ასევე შესაბამისია კლასიფიკატორთან, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველთვის მზად არის გააგრძელოს განვითარებაზე მუშაობა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ უკვე დააფიქსირეს პოზიცია. მისი თქმით სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობადობის ამაღლებისათვის დაწესებულება გეგმავს კვლავ გააგრძელოს ამ საკითხზე მუშაობა და გააძლიეროს ინფორმაციის მიწოდება. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით შექმნილი აქვთ შესაბამისი ლაბორატორია სადაც ყოველკვირეულად იმართება ტრენინგები და ვორქშოფები სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან ამ მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ ვებ-გვერდზე მოცემული აქვთ პლაგიატის მარეგულირებელი კონკრეტული აქტები და ეს არის ის საკითხი რომლითაც პირველ რიგში ინტერესდებიან დაინტერესებული პირები და თვლის, რომ სტუდენტები ამასთან დაკავშირებით არ განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას. პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობისათვის ფინანსების გამოყოფის რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აქვთ კონკრეტული მაჩვენებლები მათი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და თვლის, რომ ეს მონაცემები აკრედიტაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა არ განიცდის ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალატიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენად ვალიდურია 20 რესპონდენტის გამოკითხვა შრომის ბაზრის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშვარიანმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, პროგრამაში კონცენტრაციების მიხედვით სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა შემდეგი საკითხებით: როგორ ხდებოდა „ანტენების“ და „სიგნალთა მოდულაციების“ საგნის სწავლება სტუდენტებისათვის პრაქტიკის გარეშე, როგორც მან აღნიშნა, სილაბუსში არ ჩანს ლაბორატორიულების საკონტაქტო საათები. ასევე, „ოპტიკური სატრანსპორტო ტექნოლოგიების“ სილაბუსში, როგორ იფარება უშუალოდ წარმოდგენილი ლიტერატურითა და თემატიკით ისეთი ფართო თემა, როგორიც არის მთლიანად ოპტიკური სატრანსპორტო ტექნოლოგიები. ის ასევე დაინტერესდა რა მიზეზით ითხოვდნენ ექსპერტები მე-4 კონცენტრაციის ამოღებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვებით მიმართა როგორც ექსპერტებს, ისე დაწესებულებას, პირველი შეკითხვა ეხებოდა 5.2 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ ის დაინტერესდა უცხოელი ექსპერტის ჩართულობასთან დაკავშირებით რატომ გაჩნდა რეკომენდაცია მაშინ, როდესაც პროგრამის აღწერაში საუბარია, რომ პროგრამის შემუშავების და გადამუშავების პროცესში შესწავლილ იქნა ორი, - ჰამბურგისა და ბოლონის უნივერსიტეტები. მოხდა მათი შედარება და ანალიზი. მისი მეორე შეკითხვა ეხებოდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, კერძოდ ის დაინტერესდა ესეთ თანამედროვე და აქტუალურ პროგრამაზე რატომ არ იყო საჭირო მიღების წინაპირობად ინგლისური ენის მოთხოვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება თუ პარტნიორები ჩაერთვებიან პროცესში და დაწესებულებას მიაწვდიან სათანადო რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კონცენტრაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მე-4 კონცენტრაციაში მოცემული საგნები წარმოადგენს მენეჯმენტის შესაბამის საგნებს, გარდა ამისა აღნიშნული კონცენტრაციის შესაბამისად ხდება შემდგომში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაც, ამიტომ გამოდის, რომ პროგრამის ნახევარი და მეტი საბოლოო ჯამში ცალკე გასულია უშუალო სამეცნიერო დარგიდან და უფრო არის მენეჯმენტი და ბიზნესი. ასე რომ, საქმე გვექნება კვალიფიკაციის მინიჭებასთან ორ სხვადასხვა შედეგზე ორიენტირებულ, ერთმანეთთან მინიმალური გადაკვეთის მქონე პროგრამასთან. ამან განაპირობა მე-4 კონცენტრაციის ამოღების აუცილებლობა. დარგობრივი საგნები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საინჟინრო საქმიანობასთან, მე-4 კონცენტრაციი ფაქტიურად არ არის მოცემული.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ ინსტიტუციის წარმომადგენელს დაუსვა შეკითხვა, თუ რამ გამოიწვია პროგრამის სათაურის ცვლილება, კერძოდ, ციფრული ტელეკომუნიკაციიდან - ციფრულ სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე გადასვლა. სრულად ხომ არის აღწერილი პროგრამაში ტელეკომუნიკაციის ის ოთხი ძირითადი მიმართულება, როგორიც არის მობილური კავშირები, ინტერნეტი, სატელეფონო და სატელევიზიო კავშირები.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ინსტიტუციას, თუ სტუდენტმა არ აირჩია სატელეკომუნიკაციო კომპანიათა განვითარების დაგეგმვა და მონიტორინგი, ამ შემთხვევაში მიზანი - სატელეკომუნიკაციო კომპანიათა დაგეგმვის, მონიტორინგის მიმართულებით გააღრმავოს სისტემური ცოდნით, კრიტიკული აზროვნებით და ა.შ. როგორ მიიღწევა. სხვა კონცენტრაციებში დაგეგმვა მონიტორინგი არ ჩანს.

დაწესებულების წარმომადგენელი, დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ რომ ეს საგანი განიხილავს სწორედ ტექნოლოგიათა ევოლუციას და იმ ტრენდების ანალიზის საკითხებს, რომლითაც ინჟინერმა ინოვაციურ საკითხებზე უნდა იმუშაოს. რაც შეეხება ისეთ მაღალტექნოლოგიურ დარგებს, როგორიც არის კავშირგაბმულობა, მნიშვნელოვანია, რომ ინჟინერს, მკვლევარს რომელიც ახალ ტექნოლოგიებს ქმნის, ჰქონდეს წარმოდგენა იმაზე თუ როგორ შეიძლება მოხდეს მისი ინტელექტუალური საკუთრების სამეწარმეო ათვისება. ამ საგანში საუბარია ვენჩორულ ბიზნესზე, ტექნოლოგიური პარკების პოტენციალზე და იქ მუშაობაზე და ა.შ ეს არ არის ბიზნესისკენ მიმავალი ცალკე თემა. ამ საგანში ჩადებული იდეები რომ წარმატებით რეალიზდება ცხოვრებაში, ამის ნათელი მაგალითები არიან ჩვენი კურსდამთავრებულები, რომლებიც ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში მოღვაწეობენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლალაძემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს წევრების მხრიდან საუბარი არ არის ასეთ ტიპის კურსის საჭიროების საკითხთან დაკავშირებით. არამედ კურსი ისწავლება ყოველგვარი დაშვების წინაპირობის გარეშე და საბჭოს აინტერესებს ის თუ როგორ მიიღწევა სწავლის შედეგები. ასევე სასწავლო კურსის შინაარსში აღრეულია სწავლების დონეები, დაშვების წინაპირობები და საკითხები. საბჭოს წევრის თქმით, სტუდენტებს ეძლევათ ისეთი თემა, რომელიც მაგისტრატურის საფეხურს არ შეესაბამება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები არიან ინჟინერები, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული დონის თემები ეძლევათ იმისათვის, რომ გამოიყენონ როგორც ინსტურმენტი მათი ინტელექტუალური პროდუქტის რეალიზებისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე აქვთ მიღებული შესაბამისი ცოდნა ეკონომიკის, მენეჯმენტის საფუძვლებში. ეს არ არის საგანი, რომელიც უკავშირდება სტუდენტებისგან მეწარმეების შექმნას. ეს საგანი ასწავლის თუ როგორ დაინახონ თავის დარგში და ტექნოლოგიებში შესაძლო კომერციული გამოყენება და რამენაირად თვითონვე გახდნენ მათი პროდუქტის პარტნიორებირამდენადაც ეს შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა და აღნიშნა, რომ თუ სტუდენტი სწავლობს მეწარმეობის, ბიზნესის საფუძვლებს და ეს გამლევთ საშუალებას, რომ პირდაპირ პრერეკვიზიტის გარეშე ეს საკითხები შეიტანოთ მაგისტრატურის საფეხურზე, მაშინ ბატონი გიორგის მიერ დასმული კითხვა მითუმეტეს ლოგიკურია. მაშინ სტუდენტებს თუ კი SWOT ანალიზიც უკვე ნასწავლი ექნებათ, რა საჭირო არის ამის სწავლება? თუ ვდგებით მეორე პოზიციაზე და ვამბობთ, რომ ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მან უნდა იცოდეს და აქ არის საკითხები, რომელზეც მან გაღრმავებული ცოდნა უნდა შეიძინოს, მაშინ სწავლის შედეგები გაცნობაზე ორიენტირებული არ უნდა იყოს. სიღრმისეულ ცოდნაზე უნდა იყოს ორიენტირებული და ამ შემთხვევაში, გადასალაგებელია სწავლის შედეგები. ნებისმიერ შემთხვევაში, კურსი გადასახედია და მოსაყვანია პროგრამის სწავლის შედეგებთან და საფეხურთან შესაბამისობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სასწავლო კურსის წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა პრერეკვიზიტი არის მათი კარგი საინჟინრო მომზადება. ის ელემენტარული წარმოდგენები, რომლებიც მათ აქვთ ეკონომიკისა და მენჯმენტის სტანდარტულ კურსზე მიღებული, ინსიტუციის შეფასებით, სავსებით საკითხში გარკვევისთვის. მაგალითად, ეს თემები არის - „ტექნოლოგიათა მენეჯმენტი“, „ტექნოლოგია და ქვეყნების კონკურენტუნარიანობა“, „ინოვაციური პროცესების ზეგავლენა განვითარებად ქვეყნებზე“, „ტექნოლოგიების გავლენა მეწარმეულ შედეგიანობაზე“ და ა.შ. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა მკაფიოდ არ ჩანს სწავლის შედეგების კავშირი აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, ამიტომ მზად არიან ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ გადახედონ სწავლის შედეგებს.

საბჭოს წევრმა, მავა კაჭარავამ ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით, რომ თუ საჭირო არის, წინაპირობებში რატომ არ არის აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შეკითხვას, პროგრამაში კონცენტრაციის მიხედვით შედეგების არ არსებობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღიქვეს ეს შედეგები გაწერეს კურიკულუმის სწავლის შედეგებში. ობიექტურად რომ ითქვას, კანონმდებლობის ჩანაწერი ასე იკითხება. დაწესებულებას ცალკე არ აქვს გაწერილი კონცენტრაციის მიხედვით შედეგები, თუმცა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მარტივი გამოსასწორებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა უკვე მიაწოდეს საბჭოს ინფორმაცია და

აღნიშნა, რომ ეს არის პროგრამა, რომელსაც ამ კუთხით პრობლემა არ აქვს, თუმცა გაძლიერებას რა თქმა უნდა მიესალმებიან. ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ მიღების წინაპირობას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ ეს რა თქმა უნდა აუცილებელია. მისი თქმით, დაწესებულებას პროგრამასთან მიმართებით პირველ გეგმად აქვს, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები ნაკელბის სიმძიმეებით იყოს წარმოდგენილი აბიტურიენტებისთვის, ხოლო მოერე ეტაპზე, რომელიც დაახლოებით ერთი წლის შემდგომ მიღებას უკავშირდება, დაწესებულება გეგმავს, გარდამავალი დებულებით, რაც შეიძლება სწრაფად ჩადოს ინგლისური ენის წინაპირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშვარიანმა დასვა შეკითხვა პროგრამის მიზანთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვაზე განმარტა, რომ პროგრამის მიზანი გამომდინარეობს არა მხოლოდ კონცენტრაციიდან და სტრუქტურიდან, არამედ კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი სფეროს აღწერიდანაც. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსის სტრუქტურა, ნებისმიერი სფეროს არჩევის შემთხვევაში, პასუხობს პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს მის მიღწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებში არის შემდეგი ჩანაწერი: „განვითარების, დაგეგმვის და მონიტორინგის მიმართულებით მოამზადოს ღრმა სისტემური

ცოდნით“, კომპანიათა განვითარების დაგეგმვა და მონიტორინგი არის მენეჯმენტი თავისი შემავალი ნაწილებით.

დაწესებულები წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ პროგრამის მიზნებში არის ჩანაწერი მოწყობილობების, მანქანა მექანიზმებისა და სისტემების დაგეგმვის შესახებ და კომპანია განიხილება როგორც სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის მიზნებში არის ცალსახა ჩანაწერი, სადაც სატელეკომუნიკაციო კომპანიათა განვითარების დაგეგმვა/ მონიტორინგის სისტემაზეა საუბარი. მანქანა დანადგარი კომპანიის შემადგენელი ნაწილია, როგორც იმფრასტრუქტურული ნაწილი და მიზნებში კი საუბარია კომპანიის განვითარების დაგეგმვასა და მონიტორინგზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კონცენტრაციის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არის ორი სასწავლო კურსი - საბაზრო ურთერთობები და ფინანსები სატელეკომუნიკაციო კომპანიებში. ამ სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია საინვესტიციო საქმიანობა ტელეკომუნიკაციებში. აქაც აღრევა ხომ არ არის? თუ დავუშვათ სტუდენტმა აირჩია ეს კონცენტრაცია, მაგრამ არ აქვს განათლება არც ფინანსების და არც ინვესტიციების დარგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული საგნის წინაპირობა ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე, როგორც ერთ-ერთი საგანი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა შეკითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, სამაგისტრო პროგრამაზე მოხვდეს სტუდენტი, რომელსაც ამ ინსტიტუციის საბაკალავრო საფეხური არ აქვს დამთავრებული.

აღნიშნულ შეკითხვას დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ გარდა ეროვნული გამოცდებისა, დაწესებულებას წინაპირობაში აქვს საუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც ტარდება ტექნიკურ უნივერსიტეტში და ამ საუნივერსიტეტო გამოცდის ტესტებში გათვალისწინებულია საკითხები, რომელიც განსაზღვრავს დონეს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, იმისათვის, რომ სტუდენტმა ლიბერალიზაცია საკომუნიკაციო სფეროში გაიგოს რას ნიშნავს, რაც პირველივე თემა არის, ჯერ საერთოდ ლიბერალური ეკონომიკა, ლიბერალიზაცია და ბევრი სხვა საკითხი უნდა იცოდეს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლალანიძემ განმარტა, რომ ექსპერტებმა, მისი მოსაზრებით, აბსოლიტურად სწორად დაინახეს საკითხი. თუ დაწესებულებას საუნივერსიტეტო გამოცდაზე 100-დან 5 შეკითხვა აქვს ფინანსებსა და მენეჯმენტზე, თუ სტუდენტმა ვერცერთს უპასუხა ის მაინც ჩაირიცხება. ამიტომ, სისტემური მიდგომა არის მთავარი.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ კონცენტრაციის შედეგები, პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს ცალცალკე, იმიტომ რომ სტუდენტს ქონდეს არჩევითობის შესაძლებლობა, ეს ჩანაწერი ცხადი უნდა იყოს, მაგრამ საუბარი შეეხებოდა სხვა საკითს, ეს არის სწავლის შედგებთან მიმართებით, თუ სტუდენტი აირჩევს A,B,C კონცენტრაციას, ის გადის იმ სწავლის შედეგებზე რაც გაწერილია პროგრამის მიზნებით. ასევე კითხვა შეეხებოდა მიღების წინაპირობებს. აღნიშნა რომ მისასალმებელია საერთაშირისო პრაქტიკის გამოყენება, მაგრამ საბჭო ხელმძღვანელობს იმ ჩნააწერებით და იმ ფორმულირებით რომლებიც დოკუმენტებში არის წარმოდგენილი.

გამომდინარე იქედან, რომ საბჭოს სხდომა გაგრძელდა 00:00 სთ-ის შემდგომ, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, წევრების თანხმობით, კენჭისყრის საფუძველზე სხდომა გაგრძელებულიყო 9 ივნისსაც, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე და ასევე დაწესებულების წარმომადგენლების თანხმობით გაგრძელდა სხდომა.

დაწესბეულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ კონცენტრაციის გაძლიერება დარღობრივი მენეჯმენტის მიმართულებით ცალსახად მენეჯმენტია და არა ინჟინერია, ხოლო საუბარი იმის შესახებ, რამდენად უნდა ყოფილიყო ამ ფორმით კონცენტრირებული სასწავლო კურსები ძალიან კონკრეტულად იყო საუბარი. საბჭოს წევრმა გიორგი დაღანიძემ აღნიშნა, რომ თუ სტუდენტს ყველა იმ წინაპირობას მისცემს პროგრამა რაც დისკუსიის დროს აღინიშნა, მაშინ ვერ მოხდება ინჟინერსი მომზადება და თუ არ მისცემს-მაშინ შეუძლებელი იქნება სტუდენტების მომზადება იმიტომ, რომ წინაპირობების გარეშე საგნებს ვერ გაივლიან. ეს არის დილემა ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ დაწესებულება წავა იმ მიმართულებით, რომ წინაპირობები მისცეს სასწავლო კურსს, ამ შემთვევაში ის გასცდება 120 კრედიტს. კრედიტები მოაკლდება ინჟინერიას ან ამის საპირისპიროდ, წინაპირობების გარეშე უნდა მოხდეს საგნების სწავლება, რომელთა სწავლა არის შეუძლებელი. ეს არის ის საკითხი რაზეც საუბრობენ ექსპერტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ეს იმ სპეციალობის სასწავლო კურსებია რომლებსაც გაივლის ნებისმიერი სტუდენტი, ნებისმიერი კუთხიდან ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, ანუ ინჟინრად ყოფნა არ ყოფნის საკითხი არ დგას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 00:13

დასრულების დრო: 01:03

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/შეუცვალა ფორმულირება/გადაიტანა რჩევებში.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

1. პროგრამის პირველი მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სახელწოდებასთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. რეკომენდირებულია განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაზე შესაბამისი ცოდნისა და მომზადების მქონე პირთა ჩარიცხვას;
4. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების, შინაარსისა და აქტუალობიდან გამომდინარე მიღების წინაპირობებში განისაზღვროს სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტური დონის ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება;
5. მოხდეს პროგრამის მე-4 კონცენტრაციის მოდიფიცირება/გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედგების მიღწევა;
6. სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის სასწავლო კურსის შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან, კურსის მიზანთან და დაზუსტდეს ამ საგანზე დაშვების წინაპირობა;
7. სასწავლო კუსებში “ანტენები”, სიგნალთა მოდულაცია “გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოები და განისაზღვროს საკონტაქტო საათები;

8. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტის მიერ ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს დარგში უახლესი კვლევების შედეგებს და დადასტურდეს რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული უახლესი პუბლიკაციების მითითებით ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში;
9. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში;
10. პროგრამის ბიუჯეტში დაკონკრეტდეს სახსრები აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;
11. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
12. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხილმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის მონიტორინგი.

რჩევები:

1. საჭიროა დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის (მაგალითად კონსულტაციები) პროცედურები, დაზუსტდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დადგინდეს ერთ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების რიცხვი;
2. დაზუსტდეს რესპონდენტები შრომის ბაზრის შესწავლისას და გამოკითხვა მიზნად ისახავდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენას.
3. მეტი მუშაობაა საჭირო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიმართულებით (ურიგო არ იქნება გარე ხარისხის შეფასებაში უცხოელ ექსპერტთა ჩართვა სტუ-ს პარტნიორი ორგანიზაციებიდან
4. შემცირდეს არჩევითი საგნების ჯამური რაოდენობა;
5. დარგში მიმდინარე ტენდენციების, მისი განვითარების სწრაფი ტემპის და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სილაბუსების შესაბამისი ლიტერატურის განახლება და საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება უახლესი დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით;
6. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში სიმულაციების პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე;
7. მიზანშეწონილია სტუდენტებს საკონსულტაციო განრიგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ არამარტო ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებით, არამედ ელექტრონულადაც, მისი განთავსებით ფაკულტეტის ვებ-გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“ - <https://gtu.ge/pet/Students/>;
8. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსში, გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში;

9. დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის ორმხრივი უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია დამსაქმებელთა და სტუდენტთა პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხოვნათა გათვალისწინებით) ერთიანი ბაზის შექმნა და სხვა დამხმარე ღონისძიებათა დაგეგმვაც;
10. პროგრამის ძირითადი მიზნიდან (შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საშუალო რგოლის კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება) გამომდინარე, სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს სტუდენტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ ადგილობრივ/საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სხვადასხვა პროექტები) ჩართულობის სტატისტიკა და ანალიზი, როგორც პროგრამის შედეგიანობის შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მექანიზმი. ხოლო მიღებული შედეგის საფუძველზე შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები ამ მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;
11. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მიღებული შედეგების გამოყენების გეგმა;
12. გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა;
13. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, სილაბუსებში სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესებისათვის საჭირო ცვლილებების დაუბრკოლებლად ასახვასთან დაკავშირებით;
14. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობისა და ანონიმურობის დაცვის შესახებ;
15. სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის;
16. სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა და ჩატარება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

„ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას
მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა
დახურულად გამოცხადდა 2021 09 ივნისს 01:06 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



გ. ჟიშკარია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა

